# AGL

## აჭარისწყალი ჯორჯია

საქართველოს ენერგეტიკა და „შუახევიჰესი"
Georgia Energy System & Shuakhevi HPP

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა
Corporate Social Responsibility

#1 | 2016 | www.agl.com.ge

AGL



შპს „აჭარისწყალი ჯორჯია"
ბათუმის ოფისი
საქართველო, ბათუმი 6010 ი. აბაშიძის ქ.6
ტელ: 0422 27 12 17
ელ-ფოსტა: info@agl.com.ge

Adjaristsqali Georgia LLC
Batumi office
6, I. Abashidze Street 6010 Batumi, Georgia
Tel: 0422 27 12 17
Email: info@agl.com.ge

თბილისის ოფისი
საქართველო, თბილისი, ბროსეს ქ. 2
ტელ: (+ 995 32) 2 244211

Tbilisi office
2,Brosse Str. Tbilisi, Georgia
Tel: (+ 995 32) 2 2 44211

შუახევის საჯარო საინფორმაციო ცენტრი
ჭავჭავაძის ქ.5

Shuakhevi Public Information Centre
5, Chavchavadze Street

სხალთის საჯარო საინფორმაციო ცენტრი
Skhalta Public Information Centre

ხულოს საჯარო საინფორმაციო ცენტრი
ტბელ აბუსერიძის ქ.5ა
Khulo Public Information Centre
5ᵃ, Tbel Abuseridze Street

# სარჩევი CONTENTS

4 | მფლობელების შესახებ
About Owners

6 | რონი სოლბერგი: „ენერგოდამოუკიდებლობა ქვეყნის გაცხადებული პრიორიტეტია"
Ronny Solberg: Energy Independence Is Georgia's Priority

12 | „შუახევჰესი" – საძირკვლის ჩაყრა
Groundbreaking Ceremony of the Shuakhevi HPP

14 | „შუახევჰესი" ქართული ენერგოსისტემის უმნიშვნელოვანესი რგოლი იქნება
The Shuakhevi HPP Poised to Become Georgia's Main Energy Link

22 | ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასთან და პროექტის საბოლოო ფაზის დაფინანსება
Agreement with the Government of Georgia and the Final Phase of the Project's Financing

26 | „აჭარისწყალი ჯორჯიას" კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა
Corporate Social Responsibility at Adjaristsqali Georgia

38 | ისტორიები მაღალმთიანეთიდან – პროექტი, რომელმაც ადამიანების ცხოვრება შეცვალა
Stories from the Mountainous Regions A Life-Changing Project

42 | გარემოს დაცვა და საერთაშორისო სტანდარტები
Environmental Protection and International Standards

48 | უსაფრთხოება – მთავარი პრიორიტეტი
Safety as a Top Priority

52 | „აჭარისწყალი ჯორჯია" და მედია
Adjaristsqali Georgia and Media

54 | ქალები ენერგეტიკაში
Women in the Energy Sector

60 | ინვესტორის ანგარიში საზოგადოებას
Investor Public Report

64 | ძალური კვანძი – მშენებლობის პროგრესი
Power Station – Progress of Construction

სარედაქციო ჯგუფი
EDITORIAL STAFF

რუსუდან რუხაძე – რედაქტორი
Rusudan Rukhadze – Editor
იზაბელ გოცაძე
Izabell Gotsadze
ირაკლი ბერიძე
Irakli Beridze
მაიკლ დეკერი
Michael Decker
დიზაინერი – მარიამ მურადაშვილი
Designer – Mariam Muradashvili
ყდის დიზაინი – გიორგი დადიანი
Cover Design – Giorgi Dadiani
ფოტო – ედო მჟავანაძე, ლაშა ფალავანდიშვილი,
გიორგი (ნაკო) ნაკაშიძე
Photo – Edo Mzhavanadze, Lasha Palavandishvili,
Giorgi (Nako) Nakashidze
კიკალა სტუდიო
Kikala Studio
სტამბა „ინნოვა"
Publishing house INNOVA

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალის გამოყენება შეიძლება მხოლოდ „აჭარისწყალი ჯორჯიას" თანხმობით.
The materials published in the magazine cannot be used without the authorization of Adjaristsqali Georgia.

AGL AGL

## „აჭარისწყალი ჯორჯიას“ შესახებ

„აჭარისწყალი ჯორჯია“ მდინარე აჭარისწყლისა და მისი შენაკადების ჰიდრორესურსების ათვისებას და საქართველოს ენერგოსისტემაში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი საინვესტიციო-ინფრასტრუქტურული პროექტის – „შუახევჰესის“ მშენებლობას ახორციელებს. „აჭარისწყალი ჯორჯია“ ინდური კომპანია Tata Power-ის (40%), ნორვეგიული კომპანია Clean Energy–ის (40%) და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია IFC-ის (20%) ერთობლივ საწარმოს წარმოადგენს. კომპანია ხელმძღვანელობს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის მაღალი სტანდარტებით, ხელს უწყობს აჭარის რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და პროექტის არეალში მცხოვრები ადამიანების ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე: www.agl.com.ge

## Clean Energy-ს შესახებ

Clean Energy Invest AS (CEI) არის სპეციალური დანიშნულების ნორვეგიული კომპანია, რომელიც აჭარაში მდინარე აჭარისწყლისა და მისი შენაკადების ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ათვისების, მათზე ობიექტების მშენებლობის, მფლობელობისა და ექსპლუატაციის მუდმივ ლიცენზიას ფლობს. კომპანია საქართველოში 2010 წელს ტენდერის შედეგად შემოვიდა, რომელშიც განაცხადი სამმა კომპანიამ წარადგინა. Clean Energy Invest AS (CEI) აქტიურად მონაწილეობს პროექტის განხორციელების ყველა საფეხურზე – ტენდერების მომზადების, განხორციელების შესაძლებლობის ანალიზის, გარემოზე ზეგავლენის შეფასების და კვლევის, სამშენებლო ნებართვების, ტენდერის დიზაინის, შესყიდვების, პროექტის დაფინანსების, მშენებლობისა და ექსპლუატაციის ჩათვლით. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე: www.cleanenergyinvest.no

## Tata Power-ის შესახებ

Tata Power არის ინდოეთის უდიდესი ინტეგრირებული ენერგოკომპანია, რომელიც სულ უფრო მეტად აფართოებს თავის საქმიანობას მთელ მსოფლიოში. კომპანიამ, თავის შვილობილ საწარმოებთან და ერთობლივად კონტროლირებულ ფილიალებთან ერთად, ელექტროენერგიის სექტორის ყველა სეგმენტში 9 432 მეგავატი სიმძლავრის ჯამური ოდენობის გამომუშავებას მიაღწია. ტექნოლოგიების სფეროში ლიდერობის ხანგრძლივი გამოცდილებით, პროექტის განხორციელების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფით, მსოფლიო დონის უსაფრთხოების სტანდარტების დაცვით, მომხმარებელზე ზრუნვით და ეკოლოგიურად უსაფრთხო ინიციატივების დანერგვით, Tata Power მზად არის, კიდევ უფრო გააფართოოს თავისი საქმიანობის მასშტაბი და გააუმჯობესოს მომავალი თაობების ცხოვრება. დამატებითი ინფორმაციის მიღება

## IFC-ის შესახებ

IFC, მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი და განვითარებაზე ორიენტირებული ყველაზე მსხვილი საერთაშორისო ინსტიტუცია, რომელიც განვითარებად ქვეყნებში კერძო სექტორს უწყობს ხელს. IFC მუშაობს 2,000 ბიზნეს კომპანიასთან მსოფლიოში და იყენებს სამოცწლიან გამოცდილებას, რათა შექმნას განვითარებისთვის საჭირო შესაძლებლობა იქ, სადაც ამის საჭიროება ყველაზე მწვავეა. 2016 ფინანსურ წელს, IFC-ის გრძელვადიანმა ინვესტიციებმა განვითარებად ქვეყნებში თითქმის 19 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია. IFC თავის კაპიტალს, ცოდნასა და გავლენას იყენებს, რათა ხელი შეუწყოს კერძო სექტორს შეასრულოს გადამწყვეტი როლი უკიდურესი სიღარიბის დაძლევასა და ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში. დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე: www.ifc.org



## ABOUT AGL

Adjaristsqali Georgia, LLC (AGL) is developing hydropower resources on the Adjaristsqali River and its tributaries. The company is implementing one of the largest infrastructure investments in Georgia, the Shuakhevi Hydropower Project (HPP). AGL is a joint venture between Norway's Clean Energy Invest AS and India's Tata Power (40 percent each), and IFC, a member of the World Bank Group (20 percent). AGL adheres to high standards of corporate social responsibility in its work by supporting the economic and social development of the Adjara region and improving the living standards of the people in the project area. For more information, visit www.agl.com.ge

## ABOUT CLEAN ENERGY

Clean Energy Invest AS (CEI) is a Norwegian single purpose company, which holds a perpetual license to build, own and operate the hydropower potential on the Adjaristsqali River and its tributaries in Adjara, Georgia. CEI entered the Georgian market in 2010 after a competitive tender, for which three companies submitted bids. CEI is active at every stage of the value chain, including tender preparation, feasibility study, environmental impact assessment study, construction permit, tender design, procurement, project financing, construction and operations. For more information, visit www.cleanenergyinvest.no

## ABOUT TATA POWER

Tata Power is India's largest integrated power company with a growing international presence. The Company together with its subsidiaries and jointly controlled entities has an installed gross generation capacity of 9432 MW and a presence in all the segments of the power sector. With its track record of technology leadership, project execution excellence, world class safety processes, customer care and driving green initiatives, Tata Power is poised for a multi-fold growth and committed to 'lighting up lives' for generations to come. For more information, visit www.tatapower.com

## ABOUT IFC

IFC, a member of the World Bank Group, is the largest global development institution focused on the private sector in emerging markets. Working with 2,000 businesses worldwide, we use our six decades of experience to create opportunity where it's needed most. In FY16, our long-term investments in developing countries rose to nearly $19 billion, leveraging our capital, expertise and influence to help the private sector end extreme poverty and boost shared prosperity. For more information, visit www.ifc.org

Clean Energy Invest

TATA POWER

IFC International Finance Corporation WORLD BANK GROUP



# ენერგოდამოუკიდებლობა ქვეყნის გაცხადებული პრიორიტეტია
# ENERGY INDEPENDENCE IS GEORGIA'S PRIORITY

ენერგოსექტორში ოცწლიანი წარმატებული კარიერის შემდეგ რონი სოლბერგი 2015 წელს საქართველოში ჩამოვიდა და ქვეყნის უმსხვილესი საინვესტიციო ინფრასტრუქტურული პროექტის – „შუახევიჰესის" მშენებლობას ჩაუდგა სათავეში. მის სახელს მსოფლიოში ცნობილი ჰიდროენერგეტიკული პროექტების განხორციელება უკავშირდება. დღეს კი იგი, როგორც „აჭარისწყალი ჯორჯიას" აღმასრულებელი დირექტორი, აჭარის მაღალმთიანეთში მცხოვრები ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებას, ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის განმტკიცებას და ეკონომიკის განვითარებას უწყობს ხელს.

Ronny Solberg, whose successful career in the energy sector spans forty years, arrived in Georgia in 2015 to lead the construction of the Shuakhevi Hydro Power Project (HPP), one of the largest infrastructural projects in the country. He is associated with many significant hydropower projects throughout the world. Today, as the CEO of Adjaristsqali Georgia LLC (AGL), he is working to improve living conditions for people living in the mountainous region of Adjara and to promote the country's energy independence and economic development.

კორპორაცია ABB Service-ის დირექტორთა საბჭოს წევრი
ABB-ის ნორვეგიის კორპორაციული ასამბლეის წევრი
ჰიდროენერგეტიკული კომპანია Hynna Kraft AS-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე
ჰიდროენერგეტიკული კომპანია Engeset Kraft AS-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე
ჰიდროენერგეტიკული კომპანია Litj-Hena Kraft AS-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე
ჰიდროენერგეტიკული კომპანია Storefoss AS-ის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე
კომპანია Energi Teknikk AS-ის დირექტორთა საბჭოს წევრი

BOARD OF DIRECTORS, ABB SERVICE
VICE MEMBER, ABB NORWAY CORPORATE ASSEMBLY
CHAIRMAN OF THE BOARD OF DIRECTORS, HYNNA KRAFT AS HYDROPOWER COMPANY
CHAIRMAN OF THE BOARD OF DIRECTORS, ENGESET KRAFT AS HYDROPOWER COMPANY
CHAIRMAN OF THE BOARD OF DIRECTORS, LITJ-HENA KRAFT AS HYDROPOWER COMPANY
CHAIRMAN OF THE BOARD OF DIRECTORS, STOREFOSS AS HYDROPOWER COMPANY
MEMBER OF THE BOARD OF DIRECTORS, ENERGI TEKNIKK AS.

**ბატონო რონი, 2016 წლის მონაცემებით ენერგეტიკა საინვესტიციოდ კვლავ მიმზიდველ დარგად რჩება. რამდენად მნიშვნელოვანია ჰიდროენერგეტიკული პროექტების განხორციელება ქვეყნისთვის და რა როლი აქვს ამ პროცესში „შუახევიჰესის" მშენებლობას?**

ენერგეტიკა ეკონომიკის განვითარების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. საქართველოს დიდი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი გააჩნია და ამ რესურსის ეფექტიანად გამოყენება ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ენერგოდამოუკიდებლობისკენ სვლის პროცესში აუცილებელია ქვეყანამ, ენერგოსექტორის განვითარების გზით, ეტაპობრივად გაზარდოს ენერგოდამოუკიდებლობა, მაქსიმალურად იყოს დაკმაყოფილებული საკუთარი ელექტროენერგიით და იმპორტზე მეტწილად არ იყოს დამოკიდებული. „შუახევიჰესის" ელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია ზამთრის პერიოდში, როცა ქვეყანაში ენერგოდეფიციტია, მთლიანად საქართველოში დარჩება და მოსახლეობის საჭიროებებს მოხმარდება. ზაფხულის თვეებში კი, როცა გამომუშავება ქვეყანაში ჭარბია, ელექტროენერგია ექსპორტზე გავა. „შუახევიჰესი", ერთი მხრივ, გაზრდის განახლებადი ელექტროენერგიის რესურსს ქვეყანაში და, მეორე მხრივ, წვლილს საექსპორტო პოტენციალში შეიტანს.

**MR. SOLBERG, 2016 STATISTICS CONFIRM THAT ENERGY REMAINS AN INVESTMENT-FRIENDLY INDUSTRY. HOW IMPORTANT ARE HYDROPOWER PLANTS FOR GEORGIA, AND WHAT ROLE DOES THE CONSTRUCTION OF THE SHUAKHEVI HPP PLAY IN THIS PROCESS?**

Energy is an inseparable part of economic development. Given Georgia's immense hydropower potential, the effective use of these resources is very important. On its path to energy independence, Georgia must gradually develop its energy sector to ensure maximal dependence on local power instead of relying largely on imported energy. In winter, when energy shortages plague the country, all of the electrical energy generated by the Shuakhevi HPP will be used here in Georgia. During the summer, when demand is lower, we will export excess energy. The Shuakhevi HPP will therefore increase the Georgia's renewable energy resources and boost its export potential.

მე უკვე მეორე წელია ამ ქვეყანაში ვცხოვრობ და საფუძვლიანად ვსწავლობ ენერგოგარემოს. საქართველოს აქვს შესაძლებლობა, ბაზრის დერეგულირების და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელების საშუალებით, გახდეს ქვეყანა, რომელიც სრულად დაკმაყოფილებულია საკუთარი ენერგოწარმოებით და ამასთან ელექტროენერგია გააქვს ექსპორტზე. რა თქმა უნდა, ჩვენ ყველას გვესმის, რომ ეს ყველაფერი კიდევ უფრო მეტ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციას და ეკონომიკურ ზრდას ნიშნავს.

ქვეყნის სტრატეგიული მიდგომა ამ საკითხის მიმართ და ჰიდროენერგეტიკული პროექტების წარმატებით განხორციელება ქვეყანას მნიშვნელოვნად დაეხმარება წინსვლაში. ამავდროულად, მსგავსი პროექტების განხორციელების პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მშენებლობა გარემოზე ზემოქმედების შემამსუბუქებელი ყველა გარემოების ზედმიწევნით დაცვით, მუდმივი მონიტორინგითა და კონტროლით განხორციელდეს.

I have spent the last two years living in Georgia and studying the local energy environment. Georgia is capable of regulating its market and adopting relevant legislative amendments to shape itself into a country that meets its own energy needs and exports its surplus energy abroad. Naturally, this requires further increasing foreign direct investments (FDIs) and promoting economic growth.

Taking a strategic approach to this issue and successfully building and operating hydropower projects in Georgia will ensure economic progress. At the same time, implementing these hydropower projects must involve putting in place environmental mitigation measures and maintaining continuous monitoring and control.



## „შუახევჰესის" მშენებლობის პროცესში და მისი დასრულების შემდეგ რა სარგებელი ექნება ქვეყანას?

„შუახევჰესის" მშენებლობა პირველ რიგში ხელს უწყობს ენერგოსექტორის განვითარებას, ტექნიკური დარგის პროფესიონალების გაზრდას, დასაქმებას, აჭარის გრძელვადიან განვითარებას. პროექტის ფარგლებში დასაქმებულია საქართველოს 730 მოქალაქე, რომელთა უმეტესობა მაღალმთიანი აჭარის მკვიდრია. ამავდროულად, ქონების გადასახადის სახით ყოველწლიურად კომპანია მილიონობით ლარს იხდის ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში, რაც ასევე ამ რეგიონის კეთილდღეობას ხმარდება.

## HOW WILL THE COUNTRY BENEFIT FROM THE CONSTRUCTION AND OPERATION OF THE SHUAKHEVI HPP?

The construction of the Shuakhevi HPP is promoting the development of the energy sector, advancing the training of technical labor force, contributing to employment growth, and supporting Adjara's long-term development. The project employs 730 Georgian nationals, mostly from Adjara's mountainous areas. In addition, the company pays local municipalities millions of laris in annual property taxes, funds which ultimately benefit the region.





ჰიდრორესურსების უმეტესობა საქართველოში, როგორც მოგეხსენებათ, მთიან რეგიონებშია წარმოდგენილი. ჩვენც პესების კასკადს ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში, მაღალმთიან აჭარაში ვაშენებთ. მშენებლობის პროცესში ჩვენ მიერ შექმნილი სამუშაო ადგილები მაღალმთიანი აჭარიდან მოსახლეობის მიგრაციას ბუნებრივად აჩერებს. ქართველი თანამშრომლების 90 პროცენტი ადგილობრივი მოსახლეობაა. განვითარებული ინფრასტრუქტურა, რაც პროექტის მშენებლობას ებმის, რეგიონის გრძელვადიან განვითარებას უწყობს ხელს. დასრულდება პესის მშენებლობა, დაიწყება სხვა ინფრასტრუქტურული პროექტი, ადამიანები კი, რომლებმაც ჩვენს კომპანიაში დიდი გამოცდილება დააგროვეს, ყოველთვის დასაქმდებიან.

## რა ეტაპზეა ახლა პროექტი და როდის იგეგმება მშენებლობის დასრულება?

„შუახევჰესის" სამშენებლო სამუშაოების დაახლოებით 85 პროცენტი ამ დროისათვის უკვე დასრულებულია. პროექტის ფარგლებში შენდება 37 კილომეტრიანი გვირაბი, რომელიც თავისი მასშტაბით, ტექნოლოგიით, მშენებლობის ხარისხით უნიკალური კონსტრუქციაა და მისი მსგავსი ევროპაშიც იშვიათია. ჩვენ გაგვყავს სამი გვირაბი, რომელთა საერთო სიგრძე 37კმ.ია. წარმატებით გრძელდება ძალური კვანძის და კაშხლების მშენებლობა. წლის ბოლომდე სამშენებლო სამუშაოები დასრულდება, ხოლო ელექტროენერგიის გამომუშავებას უკვე 2017 წლიდან დავიწყებთ.

„შუახევჰესის" მშენებლობა სპეციალისტების მიერ უკვე შეფასდა მსოფლიოში წარმატებულ ენერგოპროექტად, რომელიც უახლესი ტექნოლოგიებით და მშენებლობის მაღალი ხარისხით უმოკლეს დროში დასრულდება. „შუახევჰესის" ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ უცხოელი და ქართველი პროფესიონალები ოპერირებას ერთობლივად განახორციელებენ.

Most of Georgia's hydropower resources are found in mountainous regions, and the Shuakhevi HPP is no different. We are building our hydropower plant in the Khulo and Shaukhevi municipalities of mountainous Adjara. Because of high unemployment, workers are leaving this area in search of better opportunities elsewhere. But, the jobs that we are creating in the process of construction are slowing down this migration from upper Adjara. Ninety percent of our Georgian workforce are local hires. Well-developed infrastructure, as one of the project's spillover effects, will also encourage the region's long-term development.

These benefits do not end after construction is complete. Our workers, with the technical experience and skills they received on the project, will find themselves in high-demand in the labor market. In addition, we will start other infrastructure projects in the region even after we've finished constructing the hydropower project.

## WHAT IS THE PROJECT'S CURRENT STATUS, AND WHEN IS IT EXPECTED TO BE COMPLETE?

We have completed 85 percent of the Shuakhevi HPP construction phase. As part of our project, we are digging a 37-km tunnel. Because of its size, technology, and quality of construction, this tunnel is a unique structure almost unmatched in Europe. we are escavating three tunnels with a total length of 37 km. Construction of power plants and dams is in full swing. Construction will be complete by the end of 2016, and we will start generating power in 2017. Some international energy experts have observed that the speed of construction is due in large part to the fact that the project uses the latest technology and construction methods.

During the operations phase, the hydropower plant will be operated jointly by a team of international and Georgian professionals.



**რამდენად მზარდია ინტერესი ენერგეტიკის სფეროს მიმართ ახალგაზრდებში?**

ენერგოსექტორის განვითარების კვალდაკვალ ბაზარზე ბუნებრივად გაჩნდა ამ პროფესიის ადამიანების საჭიროება. ჩვენ უკვე მეორე წელია „შუახევიჰესზე" სტაჟირების პროექტს ვახორციელებთ. ძალიან დიდი იყო სტუდენტების ინტერესი, რომ ამ პროექტში მონაწილეობილიყვნენ და არდადეგების პერიოდში საცხოვრებლად და სამუშაოდ მაღალმთიან აჭარაში ჩამოსულიყვნენ. ისინი ყოველდღიურად იღებენ როგორც თეორიულ ცოდნას, ასევე პრაქტიკულ გამოცდილებას. მინდა აღვნიშნო, რომ ერთი მათგანი ქალია, რომელიც საუკეთესო ტექნიკური უნარებით გამოირჩევა და სრულყოფილად ფლობს უცხო ენას. როგორც წესი, ამ დარგით მეტწილად მამაკაცები ინტერესდებიან, მე მივესალმები მეტ წარმატებულ ქალს ჩვენს სექტორში.

**თქვენი კომპანიის გაცხადებული პრიორიტეტი მაღალმთიანი აჭარის გრძელვადიანი განვითარებაა. ამ მიმართულებით რას საქმიანობთ?**

კომპანიის წარმატებას არ განსაზღვრავს მხოლოდ კარგად აშენებული ინფრასტრუქტურული პროექტი და ნაკისრი ვალდებულებების სრულყოფილად შესრულება, კომპანიის წარმატების მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია მისი წვლილი ქვეყნის, რეგიონის, საზოგადოების განვითარების პროცესში.

**ARE YOUNG PEOPLE TAKING GROWING INTEREST IN THE ENERGY FIELD?**

Thanks to the continued development of the energy sector, there is a growing need for trained professionals in the market. University students have been especially eager to join the project and spend their school holidays living and working in mountainous Adjara. These interns receive both theoretical knowledge and practical experience. As a rule, men are more interested in this field than women, but some women are also becoming interested in entering the energy sector as well. In fact, one of our recent interns was a very talented young woman with outstanding foreign language and technical skills. It is my hope that more and more women will enter the field as it develops in Georgia.

**ONE OF YOUR COMPANY'S MAIN PRIORITIES IS THE DEVELOPMENT OF HIGHLAND ADJARA. WHAT ARE YOU DOING TO REACH THIS GOAL?**

Our company's success is not defined by well-built infrastructural projects or by simply fulfilling our responsibilities. Our main indicator of success is how well we contribute to the development of the country and the region as a whole.



„შუახევიჰესის" მშენებლობის დაწყების პირველივე დღიდან კომპანიის უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა რეგიონის გრძელვადიანი განვითარება. პირველ რიგში ჩავატარეთ სოციალურ-ეკონომიკური კვლევა, რათა მკაფიოდ გამოგვეკვეთა ხულოსა და შუახევის მოსახლეობის წინაშე მდგომი გამოწვევები. ჩვენი გუნდი ყოველდღიურად ხვდებოდა ადგილობრივ მოსახლეობას, უსმენდა მათ. ინტენსიურად ურთიერთობდა, ასევე, ადგილობრივ ხელისუფლებასთან, ეცნობოდა მიზნობრივ პროგრამებს და ერთობლივი მუშაობის შედეგად იქმნებოდა პროექტები, რომლებიც რეგიონის გრძელვადიან განვითარებაზე იყო ორიენტირებული. მსურს მადლობა გადავუხადო კომპანიის ყველა თანამშრომელს, რომლებიც პირველი დღიდანვე დაუღალავად შრომობდნენ იმისთვის, რომ „შუახევიჰესის" პროექტს მაღალმთიან აჭარაში რეალურად შეეცვალა ადამიანების ცხოვრება უკეთესობისკენ.

ძირითადი პრობლემების მოსაგვარებლად მუშაობა რამდენიმე მიმართულებით ერთდროულად დავიწყეთ – განათლების ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება, ადგილობრივი თემების გაძლიერება და ინფრასტრუქტურული განვითარება. ჩვენს მიერ წამოწყებული 70-ზე მეტი სოციალური პროექტი დღემდე წარმატებით გრძელდება.

**მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გიმუშავიათ, მაგრამ ეს პირველი პროექტია, რომელსაც საქართველოში ახორციელებთ. გვიამბეთ თქვენი ქართული გამოცდილების შესახებ.**

გადაწყვეტილება საქართველოში სამუშაოდ გადმოსვლის შესახებ 2015 წელს მივიღე. მე და ჩემი მეუღლე ოსლოდან ბათუმში გადმოვედით საცხოვრებლად. პროექტზე მუშაობის პარალელურად, ბუნებრივია, ქვეყნის შესწავლა დავიწყე. ვცდილობდი ახლოს გამეცნო ადამიანები, რომლებიც ამ ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ჩვენი პროექტის არეალში ცხოვრობენ. ამავდროულად რთული მიზანი დავისახე – ქართულ ენას ვსწავლობ. საქართველო არის ძალიან საინტერესო ქვეყანა მდიდარი ისტორიით და დასავლური ღირებულებებით. დღეს ის არაერთი გამოწვევის წინაშე დგას, რომელსაც დარწმუნებული ვარ წარმატებით გადალახავს. ენერგოდამოუკიდებლობისკენ სწრაფვა ქვეყნის გაცხადებული პრიორიტეტია, „შუახევიჰესი" ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ ამ პროცესში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

ესაუბრა მარიამ სიხარულიძე

Since we began constructing the Shuakhevi HPP, our company's primary task has been fostering Adjara's economic and social development development. The first thing we did was a socioeconomic study seeking to identify challenges facing the populations of Khulo and Shuakhevi. Our team held daily meetings with locals to learn about their needs. We also worked with local authorities, familiarizing ourselves with government programs targeted at social and economic development. As a result of our joint work, we developed our own projects focused on the region's long-term growth. I would like to express my sincere gratitude to the employees of the project who, since day one, have worked tirelessly to make sure that the Shuakhevi HPP actually makes a difference in the lives of the people living in mountainous Adjara.

To tackle some of the core issues, we launched a social responsibility program with multiple objectives, such as promoting education and awareness raising, empowering local communities, and developing infrastructure. So far, we have launched more than 70 successful social projects, many of which are still ongoing.

**YOU HAVE WORKED IN MANY COUNTRIES, YET THIS IS YOUR FIRST PROJECT IN GEORGIA. PLEASE DESCRIBE YOUR OWN EXPERIENCE LIVING AND WORKING IN GEORGIA.**

When I decided to accept this job in Georgia in 2015, my wife and I moved from Oslo to Batumi. In my time on the project, I have been trying to learn more about Georgia's people, especially those living in the project area. I have also tried to learn the Georgian language, but, as you may know, that has not been an easy task. So far I have found Georgia to be a fascinating country, rich with history and culture; however, it is also facing many challenges that, I am convinced, it will overcome. One of these challenges is energy independence, and, once it starts operating, the Shuakhevi HPP will make a tremendous contribution to that process.

Interviewed by Mariam Sikharulidze



# „შუახევიჰესი“ - საძირკვლის ჩაყრა
# GROUNDBREAKING CEREMONY OF THE SHUAKHEVI HPP












2013 წლის 16 სექტემბერს ქვეყნის უმსხვილესი საინვესტიციო-ინფრასტრუქტურული პროექტის „შუახევიჰესის“ მშენებლობას ჩაეყარა საძირკველი. პროექტის საინვესტიციო ღირებულება 416 მილიონ ამერიკულ დოლარს შეადგენს. ჰიდროელექტროსადგური საქართველოს 187 მეგავატ ჯამურ დადგმულ სიმძლავრეს შემატებს.

შუახევის ჰიდროელექტროსადგური ზამთრის პერიოდში დააკმაყოფილებს საქართველოს მოთხოვნას ელექტროენერგიაზე და განახლებადი ენერგიის მეშვეობით იმპორტირებულ საწვავზე დამოკიდებულებას შეამცირებს. ჰიდროელექტროსადგური, ასევე, თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტის საშუალებით, ქვეყნებს შორის ელექტროენერგიით ვაჭრობას შეუწყობს ხელს.

„შუახევიჰესი“ არის პირველი ჰიდროენერგეტიკული პროექტი საქართველოში, რომელიც სერტიფიცირებულია გაეროს ჩარჩო კონვენციით „კლიმატის ცვლილების შესახებ ნახშირბადის გამოყოფის შესამცირებლად“. პროექტი ყოველწლიურად დაახლოებით 450 გიგავატ საათი ელექტროენერგიის წარმოებას და სათბური გაზის გამოყოფის 200,000 ტონაზე მეტით შემცირებას ითვალისწინებს.

On September 16, 2013, Adjaristsqali Georgia LLC launched the construction of the Shuakhevi Hydro Power Project (HPP), one of the country's largest investments and infrastructural projects. The project represents a 416 million dollar foreign direct investment in Georgia, and the finished hydropower plant will contribute a total of 187 megawatts of power to the country's electrical grid.

The Shuakhevi plant will satisfy domestic electricity demand during the winter, thus reducing Georgia's dependence on imported fuel and increasing its renewable energy output. The plant will also foster cross-border electricity trading at other times of the year by exporting excess electricity to Turkey.

The project is the first hydropower project in Geogia certified by the United Nations Framework Convention on Climate Change for carbon emission reductions. It is expected to produce about 450 gigawatt hours of power annually and reduce greenhouse gas emissions by more than 200,000 tons per year.



მშენებლობის ადგილი
The construction area

# „შუახევიჰესი“ ქართული ენერგოსისტემის უმნიშვნელოვანესი რგოლი იქნება
# THE SHUAKHEVI HPP POISED TO BECOME GEORGIA’S MAIN ENERGY LINK

ანდრია გვიდიანი
Andria Gvidiani

ინვესტიცია - 416 მილიონი აშშ დოლარი
დადგმული სიმძლავრე - 187 მგვტ
პროექტის დასრულების წელი - 2016
ექსპლუატაციაში გაშვების წელი - 2017
წლიური გამომუშავება - 450 მლნ კვტ.სთ.

Investment - 416 million USD
Installed capacity - 187 MW
Project completion date - 2016
Power generation starting date - 2017
Average production - 450 GWh



ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას ენერგეტიკის სექტორის განვითარება წარმოადგენს. სექტორის გაძლიერების მთავარი ამოცანა ენერგორესურსებზე თავისუფალი წვდომა და ამ რესურსების მიწოდების საიმედოობაა. დარგის განვითარების პროცესში, რესურსების რაციონალური ათვისება ნებისმიერი ქვეყნის მთავრობის ძირითადი ამოცანაა. ყველა თანხმდება იმაზე, რომ ენერგოპოტენციალის მაქსიმალური ათვისება და გენერაციის ობიექტების მშენებლობა ქვეყნების განვითარების უპირობო თავსატეხია.

საქართველოსთვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანია ის ჰიდროპოტენციალი, რომელიც ქვეყანას გააჩნია. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე დათვლილია 26 060 მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 60 ათასი კმ-ია. საქართველოს მტკნარი წყლის საერთო მარაგი, რომელიც შედგება მყინვარების, ტბებისა და წყალსაცავების წყლის მარაგებისაგან, 96.5 კმ3-ს შეადგენს. ენერგეტიკული მნიშვნელობით გამოირჩევა 300-მდე მდინარე, რომელთა წლიური ჯამური პოტენციური სიმძლავრე 15,550 მეგავატს, ხოლო საშუალო წლიური ენერგია – 50 მლრდ კვტ. საათს უტოლდება. თუმცა, სამწუხაროდ, დღესდღეობით ქვეყნის მთლიანი პოტენციალის დაახლოებით 18 %-ია ათვისებული, რაც 2800 მგვტ–ს შეადგენს. რა თქმა უნდა, ასეთი სტატისტიკა კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ არსებული რესურსების ათვისება ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოების გარკვეულ წრეებში ჰესების მშენებლობის საკითხი პოპულარობით არ სარგებლობს და გარემოს დამცველები თუ საზოგადოების სხვადასხვა წრის წარმომადგენლები დიდი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობას აქტიურად ეწინააღმდეგებიან. ხშირად დიდი ჰიდროელექტროსადგურების შემცვლელებად ალტერნატიული ენერგიის წყაროების ათვისება სახელდება. უნდა ითქვას, რომ ქარისა და მზის ენერგიის ტექნოლოგიები თანდათან ვითარდება და იაფდება, მაგრამ მათი გამოყენება წყაროს არასტაბილურობის გამო ენერგოსისტემაში დამატებითი სარეზერვო სიმძლავრის ჩართვას და სწრაფ მობილიზაციას საჭიროებს. საქართველოს ენერგოსისტემა მცირე ზომისაა, ამიტომ მდგრადობის და საიმედოობის თვალსაზრისით, ქარისა და მზის ენერგიის მასიური ჩართვა საქართველოს ენერგეტიკულ ქსელში ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ არის.

რაც შეეხება ჰიდროელექტროსადგურებს, მათ მაღალი მანევრირების უნარი ახასიათებთ. ენერგოსისტემის დატვირთვის მიხედვით შესაძლებელია მათი გენერაციის ცვლილება და დღე-ღამის განმავლობაში რამდენჯერმე ჩართვა-გამორთვაც კი. ამ ტიპის ელსადგურები, ასევე, მაღალი მდგრადობითა და საიმედოობით გამოირჩევა, რაც ენერგოსისტემის გამართულად მუშაობას უზრუნველყოფს. გარდა აღნიშნული უპირატესობებისა, ჰესებისგან ელექტროენერგიის მიღების ტექნოლოგია ჯერჯერობით ყველაზე იაფია. ეს ფაქტორები, ჰიდროენერგეტიკული რესურსების ათვისების კუთხით, საქართველოს ენერგეტიკული სისტემის განვითარების სტრატეგიულობას კიდევ ერთხელ ადასტურებს.

Energy development is a crucial precondition for Georgia's economic growth. Some of the main tasks facing this sector are free access to energy resources and their reliable delivery. The rational use of energy resources needs to be a government priority in any country that wishes to pursue energy development, but it is common knowledge that maximizing energy potential and constructing energy generating sites are inevitably quite problematic.

Georgia, with its 26,060 rivers stretching a combined length of 60,000 kilometers, prizes its strategically important hydropower potential. Georgia's has a 96.5 cubic kilometer freshwater supply made up of glaciers, lakes, and reservoirs. About 300 rivers are considered important energy generators, with a combined capacity reaching 15,550 megawatts and an average annual energy production of 50 billion kWh. Unfortunately, the country uses only 18 percent of its untapped energy potential, generating a total of 2,800 megawatts of energy. These statistics highlight Georgia's need to further develop its existing resources.

There are those in Georgia who object to the construction of large hydropower plants, and some environmentalists and public figures actively oppose them and call for other alternative energy sources as substitutes for large hydropower plants. Although wind and solar energy technologies are gradually improving and offer cheap energy, their output is inconsistent, which requires adding reserve power capacity to the power grid and being able to mobilize it rapidly. Georgia has a very small power grid, which is why, in terms of sustainability and reliability, incorporating large amounts of wind and solar energy into it is just not advisable at this point.

Hydropower plants, on the other hand, are highly maneuverable. Depending on the power grid's workload, these plants can increase or decrease the amount of power that they generate, or even turn power generation off and on at any given moment. Hydropower plants are known for their sustainability and reliability, which ensures that the power grid works properly. Furthermore, hydropower plants remain the cheapest way of generating power. These advantages reaffirm the strategic importance of hydropower resources to the development of Georgia's power grid.





იმ შემთხვევაში თუ ჰიდროენერგეტიკის განვითარების საკითხს პრაგმატულ ჭრილში განვიხილავთ, დავრწმუნდებით, რომ ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართ ნებისმიერი წინააღმდეგობა მხოლოდ საკითხის ემოციური შეფასების შედეგია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ახალი ჰიდროელექტროსადგურების აშენების აღკვეთა ქვეყნის ენერგოუსაფრთხოებისა და ენერგოდამოუკიდებლობის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებაა. ბუნებრივია, საქართველოს არ აქვს ასეთი რისკის გაწევის ფუფუნება.

ქვეყნის ჰიდრორესურსების ათვისების და ახალი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის აუცილებლობას ელექტროენერგიის მოხმარების ანალიზიც ადასტურებს. საქართველოში ელექტროენერგიის წლიური წარმოება ბოლო ცხრა წლის მანძილზე (2007-2015 წწ), 30%-ით – 8346 მლნ. კვტ.სთ-დან 10833 მლნ. კვტ.სთ-მდე გაიზარდა.

უახლესი მონაცემებით, საქართველოს მთლიანი ელექტროენერგიის მოხმარება 11.29 მლრდ. კილოვატ-საათია. შესაბამისად, თუკი წლიურად საქართველოში ელექტროენერგიის მოხმარება 5%-ით გაიზრდება, 10 წელიწადში დაახლოებით 17.51 მლრდ. კილოვატ-საათი ენერგიის მოთხოვნა გვექნება.

Looking at hydropower development pragmatically reveals that objections to new infrastructural projects stem from emotional, rather than empirical, reasoning. Opposing the construction of new hydropower plants throws the country's energy security and energy independence into question. Of course, Georgia cannot afford taking this risk.

The need to develop the country's hydropower resources and to build hydropower plants can be demonstrated by looking at Georgia's annual electric energy consumption, which has grown over the past nine years (2007 through 2015) by 30 percent, from 8,346 kWh to 10,833 kWh.

According to the most recent statistics, Georgia's current total electric energy consumption is 11.29 billion kWh. Thus, if electric energy consumption increases by five percent annually, in about ten years up to 17.51 billion kWh of energy will be required.



რამდენადაც იმპორტულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების შემცირება ენერგოუსაფრთხოების ერთ-ერთი საკვანძო საკითხია, ამ მასშტაბის მოთხოვნის დაკმაყოფილების ყველაზე გამართლებული გზა შიდა გენერაციის წყაროების განვითარებაა.

დღეის მდგომარეობით, საქართველოს ჰიდროპოტენციალის ათვისების და ახალი ჰესების მშენებლობის პროცესში, ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მშენებლობა აჭარაში მიმდინარე „შუახევიჰესის" პროექტია. პროექტის მიმზიდველობას მისი ტექნიკური თუ ეკონომიკური ასპექტები განაპირობებს. ხაზგასასმელია, რომ „შუახევიჰესის" მშენებლობის დასრულების შემდეგ, საქართველოს შეემატება 187 მგვტ. დადგმული სიმძლავრის მქონე სუფთა ენერგიის მწარმოებელი სადგური, რომელიც დაახლოებით 440 მლნ. კვტ. სთ. ელექტროენერგიას გამოიმუშავებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ „შუახევიჰესი" ელექტროენერგიის გამომუშავებას საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდში შეძლებს. საქართველო ამ ეტაპზე ელექტროენერგიის იმპორტიორი ქვეყანაა და ყველაზე მეტად ზამთრის პერიოდში ხდება ელექტროენერგიის შესყიდვა. სწორედ „შუახევიჰესის" და სხვა მსგავსი სიმძლავრის ჰესების მეშვეობით მოხდება იმპორტირებული რესურსების ადგილობრივით ჩანაცვლება, რაც ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების ხარისხის ზრდას, ხოლო მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს ენერგოდამოუკიდებლობის თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ზაფხულისა და გაზაფხულის პერიოდში „შუახევიჰესის" მიერ გამომუშავებული ჭარბი ელექტროენერგია საექსპორტო პროდუქტი გახდება, რაც ერთმნიშვნელოვნად პროექტის დადებით მხარეს წარმოადგენს.

Since less dependence on imported energy resources is one of the core issues of energy independence, developing local sources of energy generation seems the best way to meet this demand.

The ongoing Shuakhevi HPP project in Adjara is vitally important in the process of developing Georgia's hydropower resources and building new hydropower plants. Importantly, Georgia will be able to generate an additional 187 megawatts of clean energy once the plant, with its capacity of up to 440 million kWh, is completed.

It is also important that the Shuakhevi HPP will generate power in winter, the most crucial season in Georgia. Currently, Georgia is an energy importer, and the amount of energy it purchases is highest in winter. Thanks to the Shuakhevi HPP and similar hydropower plants, it will be possible to replace imported resources with locally generated power. This will increase the country's energy security and eliminate many of the challenges facing Georgia's energy independence. In addition, the surplus energy generated by the Shuakhevi HPP in spring and summer can be exported, which is undoubtedly one of the main benefits of the project.



„შუახევიჰესის" განხორციელების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უპირატესობა, გარემოზე ზემოქმედების კუთხით არსებული საკითხებია. აღსანიშნავია, რომ კლიმატის ცვლილება ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო დონეზე. ამდენად, აუცილებელია ჰესის ეკოლოგიურ მხარეზე ყურადღების გამახვილება. მნიშვნელოვანია ითქვას, რომ „შუახევიჰესი" პირველი ჰიდროენერგეტიკული პროექტია საქართველოში, რომელიც სერტიფიცირებულია გაეროს ჩარჩო კონვენციით – „კლიმატის ცვლილებების შესახებ, ნახშირბადის გამოყოფის შემცირების კუთხით". „შუახევიჰესი" გამოიმუშავებს 450 მილიონ კვტ/სთ ელექტროენერგიას და, შესაბამისად, ჰესის მუშაობა სათბური გაზების შემცირებას წელიწადში 200 000 ტონაზე მეტით უზრუნველყოფს.

გარდა ამისა, ხაზგასასმელია პროექტის დაფინანსების სტრუქტურა და მისი მნიშვნელობა. პროექტის განხორციელების პროცესში ჩართულები არიან ისეთი მნიშვნელოვანი ფინანსური ინსტიტუტები, როგორებიცაა „საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია" (IFC), „აზიის განვითარების ბანკი" (ADB) და „ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი" (EBRD). პროექტის განხორციელებაში მსგავსი ფინანსური ინსტიტუტების მიერ შეტანილი წვლილი თვისებრივად მნიშვნელოვანი ფაქტორია. ასეთი ინსტიტუტების მიერ გამოყოფილი თანხები

Another significant advantage of the Shuakhevi HPP is environmental. Climate change is one of the largest problems threatening both Georgia and the world, which makes the hydropower plant's environmental aspects especially important. The Shuakhevi HPP is the first hydropower project in Georgia to be certified under the UN Framework Convention on Climate Change for carbon emission reductions. The Shuakhevi HPP will generate 450 million kWh of clean electricity annually, decreasing the emission of greenhouse gases by more than 200,000 tons per year.

The project's financing is equally noteworthy. The project brings together internationally recognized financial institutions such as the International Finance Corporation (IFC), the Asian Development Bank (ADB), and the European Bank for Reconstruction and Development (EBRD). Their contributions bring new meaning to the project since these investments underscore the country's healthy investment climate and send a positive message to other foreign investors.





ხაზს უსვამს ქვეყნის საინვესტიციო გარემოს სიჯანსაღეს და, ამასთან, მათი საქართველოში ოპერირება უცხოელი ინვესტორებისთვის მნიშვნელოვანი სიგნალია.

ბუნებრივია, ერთიანი ენერგეტიკული სისტემის გაჯანსაღებისთვის და მდგრადობისთვის „შუახევჰესის" წმინდა ტექნიკური ასპექტებიც მნიშვნელოვანია. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში არსებული ენერგეტიკული ობიექტები და ინფრასტრუქტურა წლების მანძილზე დეგრადაციას განიცდიდა. შესაბამისად, არსებული ჰიდროსადგურების ავტომატური რეგულატორები მოძველებულია ან მწყობრიდან არის გამოსული, თბოსადგურების დიდი უმრავლესობა კი ამორტიზებულია. ამდენად, გარდა არსებული სადგურების რეაბილიტაციისა, აუცილებელია ახალი, „შუახევჰესის" მსგავსი თანამედროვე მართვის სისტემით აღჭურვილი სადგურების მშენებლობა, რომლებიც ქსელში მარტივად ინტეგრირდება. გარდა ამისა, საქართველოს ენერგოსისტემა განიცდის სარეზერვო სიმძლავრეების უზრუნველმყოფი მოწყობილობების მწვავე დეფიციტს.

The technical aspects of the Shuakhevi HPP are also very important for improving the country's unified power grid and ensuring its sustainability. After Georgia regained its independence, its energy sites and infrastructure were subject to years of decay. The existing hydropower plants with automatic voltage regulators were outdated or inoperable altogether, as were most thermal power stations. Thus it became necessary to both rehabilitate existing power stations and to build new stations like the Shuakhevi HPP, which will be equipped with advanced control technology that will easily integrate into the existing network. In addition, Georgia's power grid suffers from an acute lack of devices for ensuring reserve capacity.

შედეგად, სხვა სისტემებისგან დამოუკიდებლად მუშაობისას გართულებულია სიხშირის რეგულირება. ამასთან, მძლავრი აგრეგატის გამორთვისას სისტემა ავტომატურად თიშავს მომხმარებელს. ამ ვითარების გამოსასწორებლად საჭიროა სიმძლავრის რეზერვების უზრუნველყოფა „შუახევჰესის" მსგავსი მარეგულირებელი ჰიდროსადგურების, მძლავრი კომბინირებული თბოსადგურების მშენებლობის ან/და არსებული თბოსადგურების რეაბილიტაციის გზით.

შესაბამისად, „შუახევჰესი" საქართველოს ენერგოსისტემის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ობიექტია, მსგავსი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა კი ქვეყნის განვითარების უპირობო საწინდარია.

Consequently, regulating power line frequency becomes problematic when operating separately from other power grids. To improve the situation, it is necessary to have reserve capacity in place by way of building regulating hydropower plants like the Shuakhevi HPP, constructing powerful combined-cycle thermal power stations, and/or rehabilitating available thermal power stations.

Therefore, the Shuakhevi HPP is one of the most important new sites in Georgia's power grid, and the construction of similar hydropower plants is a necessary step in the country's economic development.



ოლაფურ ბირგისონი
Olafur Birgisson



# ხელშეკრულება საქართველოს მთავრობასთან და პროექტის საბოლოო ფაზის დაფინანსება

# AGREEMENT WITH THE GOVERNMENT OF GEORGIA AND THE FINAL PHASE OF THE PROJECT'S FINANCING









ბიორნ ბრანძაეგი – AGL-ის აღმასრულებელი დირექტორი (2011-2015)
BJORN BRANDTZAEG - Chief executive officer of AGL (2011-2015)

2015 წლის 19 მარტს სასტუმრო „შერატონ ბათუმში" „შუახევჰესის" პროექტის დაფინანსების საბოლოო ფაზის ხელშეკრულების და საქართველოს მთავრობასთან მშენებლობის, ფლობის და ოპერირების შესახებ პირდაპირი ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიალი გაიმართა. „შუახევჰესის" პროექტი საქართველოში პირველი კერძო საინვესტიციო პროექტია, რომელიც საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების – ADB-ის (აზიის განვითარების ბანკი), EBRD-ის (ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკი) და IFC-ის (საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი) მხარდაჭერით ხორციელდება.

On March 19, 2015, the signing ceremony of the Agreement on the Final Phase of Financing for the Shuakhevi Project and the Direct BOO (Build-Own-Operate) Agreement with the Government of Georgia was held in the Sheraton Batumi Hotel. The Shuakhevi Project is the first private investment initiative in Georgia supported by such international financing institutions as the Asian Development Bank (ADB), the European Bank for Reconstruction and Development (EBRD), and the International Finance Corporation (IFC, a member of the World Bank Group).

ბაარდ მიკელსენი
Clean Energy-ს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე:

„საქართველოს მთავრობასთან, ასევე ჩვენს პარტნიორებთან Tata Power-თან, IFC-თან და სხვა საფინანსო ინსტიტუტებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ჩვენ საქართველოში არსებული ენერგეტიკული პოტენციალის რეალიზაციას ვახდენთ. ეს პროექტი მაგალითია იმისა, რომ საქართველოში შესაძლებელია მოთხოვნის უფლების გარეშე საერთაშორისო დაფინანსების მოზიდვა ჰიდროპროექტების განსახორციელებლად და ეს მნიშვნელოვანი სტიმული იქნება ამ სექტორის განვითარებისთვის."

BAARD MIKKELSEN
Chairman of Clean Energy:

"Through the strong partnerships fostered with the Georgian government, our equity partners, Tata Power, IFC, and the other lending institutions, we are realizing the renewable energy potential of Georgia. This project demonstrates that non-recourse cross border financing is available for green-field hydro projects in Georgia, and will be important for the development of the sector and Georgia."






ანილ სარდანა
Tata Power-ის მმართველი დირექტორი:

„მსურს მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავრობას ქვეყნის უდიდესი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ათვისებაში მხარდაჭერისთვის. ჩვენ, ასევე, მადლობას ვუხდით ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებს – Clean Energy-ს და IFC Infra Ventures-ს მნიშვნელოვანი მხარდაჭერისთვის. გვჯერა, რომ ეს პოტენციალი ათვისებული იქნება ეფექტიანად და მართვის გამჭვირვალე მექანიზმების სანიმუშოდ გამოყენებით."

ANIL SARDANA
Managing Director, Tata Power:

"I would like to thank the Government of Georgia for their support in exploring Georgia's huge hydropower potential. We are also grateful to our strategic partners, Clean Energy and IFC Infra Ventures, for putting us on a strong footing. We are confident that the potential will be realized with exemplary clean governance and speed of action."




ვიბკე შლომერი
IFC-ის ინფრასტრუქტურის დეპარტამენტის რეგიონული ხელმძღვანელი ევროპის, ახლო აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის რეგიონში:

„ჩვენ განვაგრძობთ საქართველოს მთავრობის მხარდაჭერას ქვეყნის ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის ათვისებაში კერძო კომპანიებთან ერთობლივი, მსოფლიო დონის პროექტების განხორციელებით და ისეთი მნიშვნელოვანი კომპანიების შემოყვანით, როგორიც, მაგალითად Tata Power-ია. შუახევის პროექტი კიდევ უფრო განამტკიცებს ინვესტორების ნდობას საქართველოს მიმართ და ხელს შეუწყობს კერძო სექტორის მხრიდან ამ დარგში მეტი დაფინანსების შემოდინებას."

WIEBKE SCHLOEMER
IFC Regional Industry Head of Infrastructure in Europe, Middle East and North Africa region:

"We continue to support the Georgian government's efforts to tap the country's full hydropower potential by jointly developing world-class projects with private companies and bringing in important international players, like Tata Power. The Shuakhevi project is expected to strengthen investor confidence in Georgia and stimulate more private sector investment in this sector."



ნანდიტა პარშადი
EBRD-ის ელექტროენერგიის და ენერგორესურსების განყოფილების დირექტორი:

„განსაკუთრებულ კმაყოფილებას იწვევს კერძო ინვესტიციის განხორციელება ენერგოგენერაციის პროექტებში, რომლებიც სტიმულირებულია EBRD-ის საწყისი ინვესტიციით საქართველოსა და თურქეთს შორის ელექტროგადამცემ ხაზში. ეს არის მნიშვნელოვანი მაგალითი იმისა, თუ როგორ უწყობს ხელს ბანკი კერძო სექტორში ინვესტიციების განხორციელებას, რითიც ქვეყნებს ღია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში ეხმარება."

NANDITA PARSHAD
EBRD Director for Power and Energy:

"It is particularly fulfilling to see private investment in energy generation projects stimulated by EBRD's initial investment in the Georgia-Turkey cross-border transmission line. It is a prime example of how the bank facilitates private sector investment as part of its mandate to help countries transition to open market economies."




მაიკლ ბაროუ
ADB-ის კერძო სექტორის დეპარტამენტის გენერალური დირექტორის მოადგილე:

"პროექტი ხელს შეუწყობს რეგიონულ თანამშრომლობას და ენერგორესურსების ვაჭრობით დამატებით შემოსავალს მოუტანს საქართველოს. ეს სიახლით ახლებური, განახლებად ენერგიაში განხორციელებული ინვესტიცია ხაზს უსვამს იმ მნიშვნელოვან როლს, რომელსაც ADB ასრულებს რეგიონში ენერგოუსაფრთხოების და გარემოსდაცვითი პრინციპებზე დაფუძნებული მდგრადი განვითარების დაფინანსებაში."

MICHAEL BARROW
ADB Deputy Director General for Private Sector Operations Department:

"The project will promote regional cooperation and generate additional revenues for Georgia through energy trade. This groundbreaking renewable energy investment highlights the important role ADB plays in leveraging support for energy security and environmentally sustainable growth in the region."





# „აჭარისწყალი ჯორჯიას" კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა
# CORPORATE SOCIAL RESPONSIBILITY AT ADJARISTSQALI GEORGIA

ნატალია კალმახელიძე
Natalia Kalmakhelidze

„კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა" არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მსოფლიოსთვისაც ახალი ტრენდია. მისი აუცილებლობა ბიზნესისა და საზოგადოების პროგრესულმა ურთიერთობამ წარმოშვა და დროთა განმავლობაში თავადვე გვიჩვენებს, როგორ უნდა ვითარდებოდეს მათი თანამშრომლობა. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა თანდათან ბიზნესის ორგანული ნაწილი გახდა და ახლა უკვე ნებისმიერი პრესტიჟული კომპანია ნებაყოფლობით იღებს სოციალურ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე _ ირჩევს მიმართულებებს და კომპანიის მოგებას საზოგადოების ცხოვრების გაუმჯობესებისკენ მიმართავს.

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში პირველად ახსენეს ფრაზა „კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა" და მას შემდეგ სამოქალაქო საზოგადოება და ბიზნესსექტორი ცივილიზებული გზით, ერთობლივად აგვარებენ სოციუმში არსებულ პრობლემებს. იციან, რომ საზოგადოების ნდობას და ლოიალობას მხოლოდ ის კომპანიები იმსახურებენ, რომლებსაც გააჩნიათ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა, აკმაყოფილებენ საქმიანობის უმაღლეს სტანდარტებს, ითვალისწინებენ საზოგადოების საჭიროებებს და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სოციალური პრობლემების მოგვარებაში. ასევე, ხალხი აცნობიერებს, რომ სოციალური პრობლემები გაცილებით მარტივად გვარდება ბიზნესსექტორის მონაწილეობით.

ბოლო წლებში ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ხელს უწყობს ცალკეული კომპანიების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. ბიზნესს, რომელიც ინვესტიციას სოციალურ პროექტებში დებს, უკეთესი ფინანსური მაჩვენებლები აქვს. ამიტომ, სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტებს საკუთარ საქმიანობაში სულ უფრო მეტი კომპანია ნერგავს.

კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია კომპანია „აჭარისწყალი ჯორჯიასთვის", რომელიც საქართველოში 2011 წლიდან საქმიანობს. დღეს ის მაღალმთიან აჭარაში „შუახევიჰესს" აშენებს, რომლის საშუალებითაც ქვეყანას 187 მეგავატი სუფთა ენერგიის მწარმოებელი ელექტროსადგური შეემატება. ესაა უმსხვილესი საინვესტიციო ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის განხორციელებაშიც ინდური კომპანია Tata Power-ის, ნორვეგიული კომპანია Clean Energy–ის და საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია IFC-ის მიერ ერთობლივად შექმნილმა „აჭარისწყალი ჯორჯიამ" 416 მლნ დოლარის ინვესტიცია ჩადო.

Corporate social responsibility is a new trend not only in Georgia but throughout the world. It stems from a progressive relationship between business and society, and, over time, it will define the future of that relationship. Corporate social responsibility has become an integral part of business, and today almost every major company is voluntarily assuming a more socially responsible public role by choosing directions for channeling some of its profits to improve people's lives.

Since term corporate social responsibility (CSR) was coined in the 1980s. A major part of CSR involves civil society and the business sector working together in their fight against social problems. There is an understanding that public trust and loyalty can be earned only by companies that: Demonstrate high standards of social responsibility, meet the highest performance measures, are sensitive to social needs and make a significant contribution to solving social problems. significant contribution to solving social problems. Civil society is also coming to understand that social problems are much easier to solve if the business sector is involved.

Surveys conducted over the past few years confirm that corporate social responsibility increases companies' competitiveness. Businesses investing in social projects boast higher financial outcomes, which is why growing numbers of companies are adopting social responsibility standards.

Corporate social responsibility is one of the top priorities of Adjaristsqali Georgia, which has been active in Georgia since 2011. The Shuakhevi Hydro Power Plant (HPP), which the company is building in mountainous Adjara, will enable the country to produce additional 187 megawatts of clean energy. Adjaristsqali Georgia, jointly established by India's Tata Power, Norway's Clean Energy Invest, and the International Financial Corporation, has invested 416 million US dollars in this unprecedented project.




ზვიად დიასამიძე
Zviad Diasamidze

„შუახევჰესის" მშენებლობის დაწყების პირველივე დღიდან კომპანიის ხელმძღვანელობისთვის მაღალმთიანი აჭარის მდგრადი განვითარების პროცესზე ზრუნვა მთავარ გამოწვევად იქცა. შეისწავლეს რეგიონი, მაღალმთიანი აჭარის ყველა პრობლემა და კომპანიის წარმომადგენლებმა დაისახეს მიზნად, რომ ხულოსა და შუახევში მცხოვრები ადამიანების ცხოვრება უკეთესობისკენ შეეცვალათ. კომპანიის მიერ დაწყებული კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროექტები დღეს უკვე საუკეთესო მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება სახელმწიფო და კერძო სექტორმა ერთობლივი თანამშრომლობით რეგიონის მდგრადი განვითარების შესაძლებლობა შექმნან.

„აჭარისწყალი ჯორჯიას" მიზანია, რომ მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე წარმატებული კომპანია იყოს. მას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ წარმატების საწინდარი მიღებული მოგების უკან გაცემა და ასევე, კერძო და საჯარო სექტორების წარმომადგენლებთან პარტნიორული ურთიერთობებია. და თუ მას სურს, რომ სოციალური პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, რეგიონში ლიდერი კომპანია იყოს, აჭარის მაღალმთიანი რეგიონის განვითარების მხარდაჭერა კომპანიის ყოველდღიური საქმიანობის ნაწილად უნდა აქციოს.

„აჭარისწყალი ჯორჯია" სოციალური პასუხისმგებლობის კუთხით სამი მიმართულებით საქმიანობს:

- ✔ განათლება და ცნობიერების ამაღლება;
- ✔ თემების განვითარება;
- ✔ ინფრასტრუქტურული პროექტები.

Since the launch of the Shuakhevi HPP construction, ensuring sustainable development in mountainous Adjara has been a major challenge facing the company's leadership. The company studied the region and the problems it faces and committed themselves to making a difference in the lives of people in Khulo and Shuakhevi. The company launched a comprehensive program of corporate social responsibility projects that have resulted in success stories demonstrating how the state and the private sector can cooperate to provide opportunities for sustainable development in the region.

Adjaristsqali Georgia aspires to meet high standards of social responsibility, with a clear understanding that success is about giving back to the community and maintaining a partnership between the private and public sectors. Because the company aims to become the social responsibility leader in the region, supporting the development of mountainous Adjara is a vital part of its everyday operations.

Adjaristsqali Georgia is pursuing three primary social responsibility directions:

- ✔ Education and awareness
- ✔ Community development
- ✔ Infrastructural projects.



ამ მიმართულებების განვითარებისთვის კი 70-ზე მეტი პროექტი დაიგეგმა და 6 მილიონი ლარი გამოიყო. ყველა სოციალური პროექტი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური ჩართულობით მიმდინარეობს.

აჭარის მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში განხორციელებული 70 სოციალური პროექტის მიზანი რეგიონის მდგრადი განვითარება და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებაა.

პირველი, რაც კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის პროექტის დაწყებისთანავე შეიქმნა, საინფორმაციო ცენტრებია. შუახევსა და ხულოში მოქმედი საინფორმაციო ცენტრების მთავარი ფუნქცია მოსახლეობისთვის ჰესის შესახებ ინფორმაციის მიწოდება, შეხვედრების ორგანიზება, სოციალური პროექტების მიმდინარეობაზე ინფორმირება, ერთად დაგეგმვა და განხორციელებაა. ცენტრებში ადგილობრივ მოსახლეობასთან ყოველდღიურად ერთი შეხვედრა იმართება.

To develop these areas, they have planned over 70 social responsibility projects and allocated six million laris to them. They are actively working with local NGOs to implement these projects.

By implementing these projects in mountainous Adjara, the company seeks to improve the living standards of the local population.

Establishing information centers in Shuakhevi and Khulo was the first step in the company's social responsibility program. The main functions of these information centers is to raise local awareness of the hydropower plant, to facilitate meetings and dialogue between communities and the company, to provide information about ongoing social projects, and to plan and implement joint activities. At least one meeting with community members is held every day at the information centers.












## განათლება და ცნობიერების ამაღლება

„აჭარისწყალი ჯორჯია" 2014 წლიდან აჭარის მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებაზე ზრუნავს. მან ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტის 40 მასწავლებლისთვის ჩაატარა ტრენინგები, რომელიც ადგილობრივი პედაგოგებისთვის ინგლისური ენის სწავლების უნარების გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. ინგლისურენოვანი ტრენინგები ჩაუტარდა, ასევე, ხულოს, შუახევისა და ქედას 1300 მოსწავლეს.

„შუადღის ჩაი" – ასე ერქვა მოსწავლეებისთვის განხორციელებულ პროექტს, რომელიც ინგლისურ ენაზე საკომუნიკაციო უნარების გამომუშავებას ისახავდა მიზნად. ხულოსა და შუახევის სკოლების მოსწავლეები გაკვეთილების დასრულების შემდეგ ინგლისურენოვან ტრენერებთან ერთად სხვადასხვა თემაზე გუნდურ დებატებს აწყობდნენ. ასევე, ადგილობრივ პრობლემებზე საპრეზენტაციო ფორმატში მსჯელობდნენ და მოხსენებებს ამზადებდნენ.

## ინგლისურენოვანი ესეს კონკურსი

ინგლისური ენის საპილოტე პროგრამის ფარგლებში ჩატარდა ინგლისურენოვანი ესეს კონკურსი თემაზე – „როგორი იქნება საქართველო 2045 წელს". კონკურსში მონაწილეობა 44-მა სკოლის მოსწავლემ მიიღო. პროექტი ახალგაზრდებში წერითი უნარების დახვეწასა და კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად.

## კონკურსი ინგლისური ენის მართლწერაში

2015 წლის გაზაფხულზე ინგლისური ენის მართლწერაში მოეწყო კონკურსი, რომელშიც ხულოსა და შუახევის საშუალო სკოლების 1146 მოსწავლე მონაწილეობდა.

## ცნობიერების ამაღლება გზებზე უსაფრთხოების ნორმების შესახებ

ფონდის „პარტნიორობა საგზაო უსაფრთხოებისათვის", ბრიტანული ორგანიზაციის „აღმოსავლეთ ევროპის ალიანსი მდგრადი ტრანსპორტისათვის" და „აჭარისწყალი ჯორჯიას" ორგანიზებით უსაფრთხოების ტრენინგი ხიჭაურისა და შუახევის საჯარო სკოლების მოსწავლეების, პედაგოგების, სკოლის დირექტორების, ბაგა-ბაღის მენეჯერების, მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისთვის ჩატარდა. ტრენინგის მიზანი საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებზე ცნობიერების ამაღლება იყო.

## EDUCATION AND AWARENESS

Since 2014, Adjaristsqali Georgia has been tireless in its efforts at improving education and raising awareness in mountainous Adjara.

Teacher Training Program: To improve the teaching skills of 80 English teachers in the Khulo and Shuakhevi municipalities, the company organized a series of teacher trainings covering classroom management and foreign language teaching methodology. The company also organized English education activities for over 1,300 students from schools in Khulo, Shuakhevi, and Keda.

After-school English Club: This project targeted high school students in order to improve their English language and critical thinking skills. Over 150 students from Shuakhevi and Khulo worked with American and British teachers after school for class discussions, debates, speeches, storytelling, CV writing, and mock job interviews.

## ENGLISH ESSAY COMPETITION

As part of the English language program, AGL held and English language essay contest entitled "Georgia in 2045" for high school students in Khulo, Shuakhevi, and Keda. The goal of the project was to improve young people's English writing skills and develop critical thinking.

## SPELLING COMPETITION

In the spring of 2015, AGL held an English spelling competition for students in the middle grades. 1,146 students participated in three rounds of competition.

## TRAFFIC SAFETY AWARENESS

The Partnership for Road Safety, the Eastern Alliance for Safe and Sustainable Transport (Great Britain), and Adjaristsqali Georgia joined efforts to organize road safety training for the students, teachers, and principals of the Khichauri and Shuakhevi public schools, kindergarten managers, and local government representatives. This training aimed to raise the participants' awareness about road traffic safety and discussed issues and



პროექტის ფარგლებში განიხილეს შემდეგი საკითხები და რისკფაქტორები: სიჩქარე, ღვედების გამოუყენებლობა, არაფხიზელ მდგომარეობაში მანქანის მართვა, ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხოება, ბავშვების უსაფრთხოება გზებზე, დაღლილობა და უყურადღებობა, საგზაო უსაფრთხოება სოფლებში. პროექტის დასასრულს მომზადდა ვიდეო საგზაო უსაფრთხოების წესების დაცვის მნიშვნელობის შესახებ.

## ხე-ტყის მდგრადი გამოყენება და ენერგოეფექტური შეშის ღუმელები

კომპანიამ ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები მოსახლეობისთვის ხე-ტყის მდგრადი გამოყენებისა და ენერგოეფექტური შეშის ღუმელების დამზადებაზე ტრენინგები ჩაატარა.

## სტუდენტების მომზადება ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის

2015 წლის შემოდგომიდან, ერთი წლის განმავლობაში, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში მცხოვრები 135 აბიტურიენტისათვის ინგლისურ ენაში ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელი სწავლების კურსი მოეწყო. ინგლისური ენის პედაგოგები აჭარის განათლების სამინისტრომ კონკურსის წესით შეარჩია. გაკვეთილები ხუთ საჯარო სკოლაში სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ ტარდებოდა. კომპანიამ სასწავლო ცენტრები სასწავლო პროცესისათვის საჭირო ინვენტარით აღჭურვა. სკოლის ადმინისტრაციამ კი პედაგოგებს კომპიუტერები დაურიგა. მოსწავლეებს კომპანიის მიერ დანიშნული მიკროავტობუსები ემსახურებოდათ. პროექტში მონაწილე აბიტურიენტთა ნაწილმა ერთიან ეროვნულ გამოცდებში საუკეთესო შედეგი აჩვენა.

## ჯანდაცვის პროგრამები

აჭარის მაღალმთიანეთში მცხოვრები ქალებისთვის ჯანდაცვის საკითხებზე ტრენინგები მოეწყო. პროგრამის მიზანი იყო, რომ მოსახლეობას სრულყოფილი ინფორმაცია მიეღო ისეთი დაავადებების შესახებ, როგორიცაა შიდსი, იმუნოდეფიციტის ვირუსი, ჰეპატიტი, ძუძუს კიბო და მისი ადრეულ ეტაპზე გამოვლენის შესაძლებლობები, სქესობრივი გზით გადამდები დაავადებები. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ამ დაავადებების შესახებ ტრენინგებზე მიღებული ცოდნა ხელს შეუწყობს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას.

risk factors such as speed, failure to use seatbelts, driving under the influence, pedestrian safety, road safety for children, driver fatigue and reduced alertness, and road safety in rural areas. A video underlining the importance of upholding road traffic safety was produced at the conclusion of the project.

## SUSTAINABLE USE OF FORESTS AND ENERGY EFFICIENT WOOD-BURNING FIREPLACES

The company offered residents of the Khulo and Shuakhevi municipalities training on the sustainable use of forests and the production of energy efficient wood-burning fireplaces.

## PREPARING STUDENTS FOR UNIVERSITY ENTRANCE EXAMS

In fall 2015, a one-year English language course was launched to prepare 135 university applicants from the Shuakhevi and Khulo municipalities for the upcoming unified university entrance exams. The Ministry of Education of Adjara held a competition to select teachers for this initiative. The sessions were delivered after classes in five local public schools. The company supplied all the necessary supplies and books, and school administrations provided teachers with computers. AGL also provided transportation for students. Some of the project's participants earned top results on the state exams.

## HEALTH AWARENESS

AGL facilitated health awareness training for women in mountainous Adjara. The aim of this project was to provide information about diseases such as AIDS, hepatitis, breast cancer and its early detection, and sexually transmitted diseases. This knowledge will promote healthy living among younger generations.

## სტუდენტების დაფინანსების პროგრამა

სტუდენტების დაფინანსების პროგრამა „აჭარისწყალი ჯორჯიას" 2015 წლიდან აქვს. პროგრამის მიზანი წარმატებული სტუდენტების მხარდაჭერაა. პროექტის ფარგლებში 2015 წელს ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებიდან რვა, ხოლო 2016 წელს ცამეტმა სტუდენტმა მოიპოვა დაფინანსება. სულ 20 სტუდენტი გახდა „აჭარისწყალი ჯორჯიას" გრანტის მფლობელი.

ყოველწლიურად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის სტუდენტები, შესარჩევი კონკურსის გავლის შემდეგ, „შუახევჰესზე" ანაზღაურებად სტაჟირებას გადიან.

## SCHOLARSHIP PROGRAM

The Adjaristsqali Georgia scholarship program was established in 2015 and aims to support successful students in postsecondary study. As part of the project, AGL granted scholarships to eight students from the Khulo and Shuakhevi municipalities in 2015 and to 13 students in 2016. In total, 21 students became Adjaristsqali Georgia grantees.

Every year, students from the Energy Department at Georgian Technical University, after a rigorous competition process, are offered paid internships at the Shuakhevi HPP.





## შშმ პირების შესახებ ცნობიერების ამაღლება უფროსკლასელებისა და საჯარო მოხელეებისთვის

„აჭარისწყალი ჯორჯიას" ერთ-ერთი მიმართულება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების საზოგადოებაში ინტეგრირებაა. „ხულოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა კავშირთან" კომპანიამ თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა, რომლის თანახმადაც სოციალურ პროექტს დააფინანსებს. პროექტის მიზანი ხულოს მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე ცნობიერების ამაღლებაა.

პროექტი ხელს შეუწყობს საჯარო და კერძო სკოლების დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების ცნობიერების დონის ამაღლებას, ადგილობრივი თვითმმართველობის და ადმინისტრაციული ორგანოების თანამშრომელთათვის კი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე მართებული ინფორმაციის მიწოდებას. ასევე, უზრუნველყოფს ახალგაზრდა შშმ პირების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობას, საკუთარი უფლებების დაცვასა და შესაძლებლობების წარმოჩენას.

## DISABILITY AWARENESS FOR STUDENTS AND PUBLIC SERVANTS

Adjaristsqali Georgia is actively promoting the social integration of people with disabilities. Based on the memorandum of cooperation signed with the Khulo Union of People with Disabilities, the company is financing a social project that involves improving disability awareness in the Khulo Municipality.

This project will improve disability awareness among public and private high school students and provide employees of local government and administrative bodies with information about people with disabilities. In addition, the project will promote the social engagement of people with disabilities by encouraging them to protect their rights and helping them fulfill their potential.



ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მეწარმე მიხეილ დიასამიძეა. ის 62 წლისაა და პროფესიით კვების ტექნოლოგია. უკვე 12 წელია პურს აცხობს და შუახევის მუნიციპალიტეტს ამარაგებს. „აჭარისწყალი ჯორჯიას" ფინანსური მხარდაჭერით სულ ცოტა ხნის წინ პურის საცხობი ახალი დანადგარები შეიძინა და ბიზნესი გააფართოვა, ახალი თანამშრომლები დაასაქმა და გარდა შუახევისა, ეტაპობრივად მაღალმთიანი აჭარის სხვა რეგიონების პურით მომარაგებაც დაიწყო. პარალელურად, გეგმავს საკონდიტროს გახსნას, სადაც მეტწილად ადგილობრივ ქალებს დაასაქმებს. კომპანიაში სჯერათ, რომ მიხეილ დიასამიძის მსგავსი მშრომელი და მიზანდასახული ადამიანები შეცვლიან ამ რეგიონის ხვალინდელ დღეს. კერძო სექტორი და სახელმწიფო კი ერთობლივად უნდა ზრუნავდეს, რომ საკუთარი საქმიანობის წარმატებით განსახორციელებლად ასეთ ადამიანებს ყველა პირობა შეექმნას.

Food technologist Mikheil Diasamidze, age 62, is one such successful entrepreneur. He has been baking bread for people in the Shuakhevi municipality for 12 years. With financial support from Adjaristsqali Georgia, he recently purchased new baking equipment, hired new employees, and gradually expanded his business to cover other districts of mountainous Adjara besides Shuakhevi. In addition, he plans to open a candy store which will be staffed primarily by local women. The company is convinced that hardworking and committed people like Mikheil Diasamidze will shape the future of the region. The private sector and the state must join forces and spare no effort to ensure every opportunity for successful business operations.



## ადგილობრივი თემების განვითარება

სოციალური პასუხისმგებლობის ეგიდით, „აჭარისწყალი ჯორჯიას" მეორე პრიორიტეტი მაღალმთიან აჭარაში თემების გაძლიერებაზე ზრუნვაა. კომპანია ადგილობრივი ბიზნესის განვითარების ხელშესაწყობად მრავალ პროექტს ახორციელებს და ამ მიმართულებით მოსახლეობის განათლების დონის ამაღლებისთვის ტრენინგებს ატარებს.

კომპანიის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებზე მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობამ შეისწავლა, თუ როგორ ხდება ბიზნესგეგმის შემუშავება და საპროექტო წინადადების მომზადება. ასევე, აჭარის მაღალმთიანი რეგიონის მოსახლეობა გაეცნო ინფორმაციას საქართველოს საგადასახადო რეგულაციებისა და სოციალურ-ეკონომიკური შეღავათების შესახებ. ტრენინგებში მონაწილეობა 80-მა ადგილობრივმა მეწარმემ მიიღო. მათ მიერ მომზადებული ბიზნესპროექტებიდან კი 21 შეირჩა, რომლებიც კომპანიამ სრულად დააფინანსა. „აჭარისწყალი ჯორჯიას" დაფინანსებით ხულოსა და შუახევში ადგილობრივმა მეწარმეებმა მეფრინველეობის ფერმები, ხის საამქროები, სამხატვრო სახელოსნოები, პურის საცხობები გახსნეს, რის შედეგადაც რეგიონში დამატებითი სამუშაო ადგილები შეიქმნა.

## COMMUNITY DEVELOPMENT

Small Business Development Project: Adjaristsqali Georgia's second priority in its social responsibility program is empowering the communities of mountainous Adjara. To encourage the development of local businesses, the company is implementing many projects and organizing business trainings for community members.

During these trainings, residents of mountainous Adjara learned how to develop business plans and how to pitch business proposals. As part of the training, 80 local entrepreneurs familiarized themselves with Georgia's tax regulations and economic programs. The participants then submitted their business proposals, and the company selected 21 of them for full financing. Winning proposals included poultry farms, woodworking shops, art workshops, and bakeries. These businesses, in turn, are creating new job opportunities for local workers.



## ინფრასტრუქტურული პროექტები

ინფრასტრუქტურული განვითარება „აჭარისწყალი ჯორჯიას" კიდევ ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ყველა პროექტი, რომელსაც კომპანია ახორციელებს ადგილობრივი მოსახლეობისა და მუნიციპალიტეტების ჩართულობით იგეგმება. ამიტომ, პირველ რიგში, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები და საჭიროებებია გათვალისწინებული. ამავე დროს, ინფრასტრუქტურული პროექტები რეგიონის განვითარებასა და გრძელვადიან მიზნებზეა ორიენტირებული.

საკმაოდ ვრცელია ჩამონათვალი იმ ინფრასტრუქტურული პროექტებისა, რომელსაც „აჭარისწყალი ჯორჯია" ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან ერთად ახორციელებს. მათ შორის ხულოსა და შუახევში 50-ზე მეტი პროექტი დაფინანსდება: გზის ინფრასტრუქტურა, სანიაღვრე სისტემების მოწესრიგება, მოსახლეობის მუდმივი წყლით უზრუნველყოფა, სკოლების ინფრასტრუქტურა – სპორტული მოედნები, ეზოს მოწესრიგება, ბიბლიოთეკების რეაბილიტაცია...

## INFRASTRUCTURAL PROJECTS

Infrastructural development is yet another priority direction for Adjaristsqali Georgia. The company's infrastructural projects focus on the development and long-term objectives of the region. In order to prioritize the population's needs, residents and local governments are actively engaged in all of the company's projects.

The list of Adjaristsqali Georgia's infrastructural projects is quite long and includes financial support for over 50 initiatives in Khulo and Shuakhevi focusing on road infrastructure, improvement of drainage systems, water supplies, and school infrastructure such sports fields, playgrounds, and libraries.

„აჭარისწყალი ჯორჯიას" დაფინანსებით ადგილობრივი საფეხბურთო გუნდი ხულოს „ხიხანი" ფუნქციონირებს. ბოლო 23 წლის მანძილზე, უსახსრობის გამო ხულოს საფეხბურთო გუნდი არ ჰყავდა. წლების განმავლობაში ცდილობდნენ ხულოში საფეხბურთო კლუბის შექმნას, მაგრამ 2015 წლამდე, ვიდრე გუნდს მუდმივი დამფინანსებელი არ გაუჩნდა, ეს ოცნება განუხორციელებელი რჩებოდა. წელს „აჭარისწყალი ჯორჯიამ" გუნდისთვის 80 ათასი ლარი გამოყო. ფეხბურთელებს დაენიშნათ ხელფასი, დაარსდა საპრემიო ფონდი, უკვე არსებობს თანხა ფეხბურთის გუნდის სატრანსპორტო ხარჯებისათვის და ეკიპირების შესაძენად. ყველაფერმა ამან კი სპორტსმენებს მნიშვნელოვანი წარმატებების მისაღწევად მოტივაცია გაუჩინა. დღეს „ხიხანი" ერთ-ერთი საუკეთესო გუნდია აჭარის მაღალმთიანეთში. „აჭარისწყალი ჯორჯია" საფეხბურთო კლუბის დაფინანსებას მომავალშიც გააგრძელებს.

Financing from Adjaristsqali Georgia has also enabled Khulo's Khikhani football club to pursue its athletic aspirations. For lack of funding, there hasn't been a football team in Khulo for 23 years. Numerous attempts to establish a soccer club had been made over many years, but this dream remained only a dream until 2015, when Adjaristsqali Georgia agreed to finance the team. This year alone, the company allocated 80,000 GEL to the club to cover team salaries and other expenses. In addition, a performance bonus fund has been established, and finances are in place to cover the team's transport expenses and to procure necessary equipment, all of which motivates the athletes to achieve even greater results. Today Khikhani is the best team in mountainous Adjara, and Adjaristsqali Georgia plans to continue supporting the football team in the future.

წინ ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევაა. კომპანია „აჭარისწყალი ჯორჯია" აპირებს, რომ „შუახევჰესის" მშენებლობის არეალში მცხოვრები ადამიანებისთვის და რეგიონის მდგრადი განვითარებისთვის ახალი სოციალური პროექტები შექმნას. ჰესის მშენებლობა სულ მალე დასრულდება, თუმცა კომპანიის სოციალური პროექტები მაღალმთიან აჭარაში კვლავ გაგრძელდება. „აჭარისწყალი ჯორჯიას" გუნდის თითოეულ წევრს სწამს, რომ კომპანია მხოლოდ მაშინ იქნება წარმატებული, თუ თავისი საქმიანობით მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ქვეყნის, რეგიონის, საზოგადოების მდგრადი განვითარების პროცესში.

In spite of these efforts, there will still be more challenges to come, which is why Adjaristsqali Georgia plans to launch new social projects to benefit those living in the Shuakhevi HPP area and to advance the region's sustainable development. The construction of the hydropower plant will be completed soon, but the company's social projects in mountainous Adjara will surely continue. Every member of the Adjaristsqali Georgia team is convinced that the company can succeed only if its work contributes to the sustainable development of the country, region, and society as a whole.



საფეხბურთო გუნდი „ხიხანი"
Football team Khikhani

# ისტორიები მაღალმთიანეთიდან
## პროექტი, რომელმაც ადამიანების ცხოვრება შეცვალა
# STORIES FROM THE MOUNTAINOUS REGIONS
## A LIFE-CHANGING PROJECT



**აზა აბულაძე** 16 წლის გაათხოვეს. მხოლოდ საჯარო სკოლის დამთავრება მოასწრო. არ უყვარდა, მაგრამ ამდენი წლის თანაცხოვრებამ თავისი ქნა. 22 წელია ოჯახს უძღვება, ახლა 38 წლის არის. შემოდგომა-ზამთარს ხულოში ატარებს, ზაფხულში პირუტყვი მიჰყავს მთაში, სხვა თანასოფლელი ქალების მსგავსად. ორი შვილი გაზარდა. უფროსი უკვე სტუდენტია.

მისი მსგავსი ისტორია აქ ბევრს აქვს – ადრე დაოჯახება, საშუალო განათლება, სახლის საქმე, შვილების გაზრდა, ოჯახის მოვლა... მიიჩნევს, რომ ადრე დაქორწინება დიდი ტვირთია; რომ კარგი განათლება ქალებს უფრო სჭირდებათ, ვიდრე კაცებს, ცხოვრებამ რომ არ დაჩაგროს. „მაშინ სხვა დრო იყო, ვინ გაიგებდა სიყვარულს, 16 წლის გამათხოვა ოჯახმა, ჩემი თაობის ქალების უმეტესობა 15-16 წლის ასაკში ვართ გათხოვილები, სკოლის დამთავრება ძლივს მოვასწარით," – ერთი შეხედვით სევდიან ისტორიას ღიმილით ჰყვება. მთელ იმედებს შვილებსა და მათ თაობაზე ამყარებს. უფროსი ვაჟი, გიორგი, წელს სტუდენტი გახდა, ბიზნესის მართვის ფაკულტეტზე სწავლობს საზღვაო აკადემიაში და გრძელვადიანი გეგმები აქვს თავის რეგიონთან დაკავშირებით. მიაჩნია, რომ ოჯახის ადრეულ ასაკში შექმნა სწორი არ არის; რომ კარგი განათლება ქალებისთვის და კაცებისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანია. მის სწავლას კომპანია „აჭარისწყალი ჯორჯია" აფინანსებს. გიორგის მიაჩნია, რომ ეს ის შანსია, რომელიც ცხოვრების მნიშვნელოვნად შესაცვლელად მიეცა და ყველაფერს გააკეთებს, რომ საკუთარი განათლებით რეგიონს სარგებელი მოუტანოს.

გიორგი საცხოვრებლად ბათუმში გადავიდა მამიდასთან. ახლა ოჯახში ხუთნი არიან: დედა, მამა, უმცროსი ძმა, ბებია და ინგლისური ენის მასწავლებელი, რომელიც ადგილობრივ სკოლაში უცხო ენას ასწავლის. გიორგი მხოლოდ შაბათ-კვირას მიდის ოჯახში, ახლა თავის თანამოაზრე სტუდენტებთან ერთად პროექტზე მუშაობს, რომელიც რეგიონის ეკონომიკური კუთხით განვითარებას ისახავს მიზნად. იმედი აქვს, რომ დაფინანსებას მოიპოვებს და ხულოს დაეხმარება. აზასაც სჯერა გიორგის. დარწმუნებულია, რომ ერთ დღეს მისი შვილის თაობა ამ რეგიონის ხვალინდელ დღეს მნიშვნელოვნად შეცვლის.

54 წლის **ზურაბ მახარაძე** სოფელ მახალაკიძეების სკოლაში ქართულ ენასა და ლიტერატურას უკვე 30 წელია ასწავლის. გაკვეთილების შემდგომ ოფიციალურ ტანსაცმელს იცვლის და სახელოსნოსაკენ სამუშაო სამოსით მიემართება. თავდაპირველად მარტო მუშაობდა, არც თანამედროვე დანადგარები ჰქონდა. ახლახან კომპანია „აჭარისწყალი ჯორჯიას" მიერ ორგანიზებული ტრენინგები გაიარა მცირე ბიზნესის განვითარებაზე, მის მიერ მომზადებულმა ბიზნესგეგმამ მოწონება დაიმსახურა და კომპანიამ ხის სამქროს მოსაწყობად საჭირო ყველა დანადგარი შეუძინა. აკეთებს ნივთებს ტურისტებისთვის, ამავდროულად სახლის ასაშენებლად საჭირო ყველა მასალის დამზადებაც შეუძლია. სამუშაოს ხარისხიანად შესრულებასთან ერთად დაკვეთებიც თანდათან მატულობს.

**Aza Abuladze** was given in marriage at the age of 16, when she was fresh out of high school. At the time, she did not love her husband, but living together for so many years has changed that. She has been in charge of her family for 22 years and is 38 now. She spends the fall and winter in Khulo and, like the other women in the village, herds cattle to the mountain pastures in summer. She has raised two children, and her elder son is already a university student.

Her story is quite typical: early marriage, secondary education, housekeeping, raising kids, taking care of the family. She believes that early marriage is a heavy burden, and women, in order to stand on their own two feet, need quality education more than men do: "Things were different back then. Girls were married before they knew what love was about. I was 16 when my family gave me in marriage, and most women of my generation were married at 15 or 16. We were just out of high school." She tells this seemingly sad story with a smile on her face.

She has high hopes for her children and their generation in general. Her elder son Giorgi, who has just enrolled in the Business Management Department of the Naval Academy, has far-reaching plans for his region. He argues against building a family at an early age and advocates equal education for men and women. Giorgi's scholarship was financed by Adjaristsqali Georgia. He believes that this is his chance to make a difference, and he is committed to using his education to benefit the region.

Giorgi moved to his aunt's apartment in Batumi. Now there are five left in the family: mother, father, younger brother, grandmother, and an English-language teacher teaching classes at the local school. Giorgi visits his family only on weekends. Currently, he and his peers are working on a joint project seeking to boost the region's economic development. He hopes to attract financing that would benefit Khulo. Aza, who has unwavering trust in Giorgi's vision, is convinced that her son's generation will one day make a tremendous difference in the region.

**Zurab Makharadze**, age 54, has been teaching Georgian language and literature courses in the Makhalakidzeebi Village School for 30 years. After classes, he takes off his formal attire, puts on overalls, and heads toward his workshop. At first, he had neither assistants nor modern equipment. Fairly recently, however, he attended small business development training courses facilitated by Adjaristsqali Georgia. His business plan was widely commended, and the company covered the cost of all of the equipment he would need for his woodworking shop. Most of his products will be designed for tourists, but he can make all types of materials for house construction as well. The high quality of his work ensures thatthere will be no shortage of demand for his products.



აზა აბულაძე
Aza Abuladze



ზურაბ მახარაძე
Zurab Makharadze



ვაჟა ფუტკარაძე
Vazha Putkaradze



გიორგი ფუტკარაძე
Giorgi Putkaradze

ხის სამჭიროში უფროსი ვაჟიც ეხმარება თავისუფალ დროს. ის აბიტურიენტია, შესაბამისად, დრო ცოტა აქვს. რამდენიმე თანასოფლელის მსგავსად, მასაც ტურიზმის ფაკულტეტზე სურს ჩაბარება. პირველ რიგში უცხო ენის საფუძვლიანად შესწავლას აპირებს. კომპანია „აჭარისწყალი ჯორჯიას" მიერ ორგანიზებულ ტრენინგებს ესწრებოდა, სადაც ინგლისური ენის მასწავლებელი, ამერიკელი მაიკლი უფროსკლასელებს უცხო ენაზე თავისუფლად კომუნიკაციას ასწავლიდა. მიაჩნია, რომ მხოლოდ ერთი ენის ცოდნა მის მომავალ საქმიანობაში საკმარისი არ არის; რომ მაღალმთიან აჭარას ტურიზმის მიმართულებით განვითარების დიდი პოტენციალი აქვს და ადგილობრივები, რომლებიც კარგ განათლებას მიიღებენ, ამ საქმეს ყველაზე კარგად გაუძღვებიან. უნდა, რომ კარგი განათლება მიიღოს არამარტო საქართველოში, არამედ საზღვარგარეთაც. ზურაბს სჯერა, რომ მისი საწარმო კიდევ უფრო გაძლიერდება და შეძლებს შვილის ფინანსურ მხარდაჭერას. მიაჩნია, რომ წარმატებისთვის თავდაუზოგავი შრომაა საჭირო და ამისთვის ძალ-ღონეს არ დაიშურებს.

Zurab's elder son spends his free time helping his father around the workshop, though, being a college applicant, he is quite busy. Like several of the other young men in the village, he aspires to enroll in a tourism course. Therefore, his first goal is to become fluent in foreign languages. He participated in the after-school program for high school students organized by Adjaristsqali Georgia, where he worked with an American teacher to improve his English skills. Still, he thinks one foreign language is insufficient for his future endeavors. He believes that Adjara has great potential for tourism development and that well-educated locals are best suited to lead this development. He wants to receive quality education both at home and abroad.
Zurab is convinced that his businesses enterprise will grow stronger, strong enough to support his son financially. It takes hard work to achieve success, and he will spare no effort to get there.

„სოფელი აძლიერებს ქალაქს. თუ სოფელმა წელი ვერ გამართა, ქალაქი დასუსტდება, დასუსტებული ქალაქი კი ქვეყანას უკან წასწევს."

ვაჟა ფუტკარაძე

"THE VILLAGE EMPOWERS THE CITY. IF THE VILLAGE FAILS TO STAND STRONG, THE CITY WILL GROW WEAKER, AND A WEAK CITY WILL KEEP BACK OUR COUNTRY."

VAZHA PUTKARADZE

**ვაჟა ფუტკარაძე** დაბა შუახევში, სოფელ მახალაკიძეებში რამათის უბანში ცხოვრობს. მეუღლე ადგილობრივ სკოლაში ფიზიკა-ქიმიას ასწავლის. მათ 28-30 წლის ქალ-ვაჟს საკუთარი ოჯახები აქვთ და დამოუკიდებლად ცხოვრობენ. მეფუტკრეობას 5 წელია რაც ხელი მიჰყო, თუმცა ადვილი საქმე არ აღმოჩნდა. რამდენიმე ოჯახი დაეღუპა, ბოლოს როგორც იქნა მოამაგრა და დღეს უკვე 42 სკა აქვს. ყველაზე დიდ სიამოვნებას ფუტკრის მოვლა ანიჭებს, შედეგი ახარებს. მუდმივად ცდილობს ყველა გამოკითხოს ამ საქმიანობაზე, ინტერესმა კომპანია „აჭარისწყალი ჯორჯიას" მიერ ორგანიზებულ მეფუტკრეობის ტრენინგებზე მიიყვანა.

„ბევრი რამ სხვაგვარად დავინახე – ახლა ვხვდები, რატომ დამეღუპა ამდენი ფუტკრის ოჯახი, ცოდნა გვაძლიერებს, გვამაგრებს, ბევრი რამეს ნიშნავს. საკუთარ შეცდომებზე სწავლა რთულია", – აღნიშნავს მეფუტკრე.

ტრენინგებზე, რომლებიც ფუტკრის მოვლა-გამრავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლას ისახავს მიზნად, საჩუქრად ფუტკრის ოჯახები, სკები და საჭირო აღჭურვილობა მიიღო.

**Vazha Putkaradze** lives in the Ramate neighborhood of Makhalakidzeebi village in the Shuakhevi District. His wife teaches physics and chemistry at the local school. Their daughter and son, ages 28 and 30, respectively, have their own families and live separately. Five years ago, Vazha started a beekeeping business, but it has proved no easy task. Although several bee colonies perished in the process, he ultimately succeeded in consolidating his business and now has 42 beehives presently under his care. He enjoys keeping bees and takes pride in the end keen to learn more about this business, and his curiosity brought him to the beekeeping training sessions offered by Adjaristsqali Georgia.

"In many ways, it changed the way I looked at things, and now I understand why I lost so many bee colonies. Knowledge makes us stronger, which is very important. Learning by trial and error can be really hard sometimes," the beekeeper says. These training sessions sought to teach the latest



წლევანდელი გაზაფხულიდან თაფლიც მეტი აქვს და ბათუმში მცხოვრები შვილის დახმარებასაც უკეთ ახერხებს, როგორც პროდუქტით, ასევე ფინანსურად. მიიჩნევს, რომ ქვეყნის გასაძლიერებლად სოფელმა ძალ-ღონე არ უნდა დაიშუროს. „აგური-აგური შენდება ქვეყანა, როცა ყველა კარგად აკეთებს თავის საქმეს, ერთი დიდი შედეგიც ეგ არის", – ამბობს ვაჟა ფუტკარაძე.

**გიორგი ფუტკარაძე** შუახევის რაიონში ცხოვრობს, ოჯახში ექვსნი არიან. ოჯახი ადრე შექმნა – 38 წლის ასაკში უკვე სამი შვილის მამაა. მარიამი 19 წლის არის, გაუმართლა 21 წლის წინ არჩევანი თავის მეუღლეზე რომ შეაჩერა. ოჯახის ადრე შექმნას არ ნანობს, თუმცა შვილების ცხოვრებაში ჩარევას არ აპირებს; მიაჩნია, რომ ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება თავად უნდა მიიღონ – თუ ადრე დაქორწინებას გადაწყვეტენ, ხელს არ შეუშლის. მიაჩნია, რომ ამ ნაბიჯმა განათლების მიღებას ხელი არ უნდა შეუშალოს. „მე რაც შემეძლო, ვასწავლე, გზა გავუკვალე. მარიამი უკვე სრულწლოვანია, თავად უნდა გადაწყვიტოს, რა აჯობებს მისთვის. მე ვერაფერში ჩავერევი".

მარიამი ტურიზმის ფაკულტეტზე სწავლობს შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში. მის სწავლას კომპანია „აჭარისწყალი ჯორჯია" აფინანსებს. მარიამის სურვილია, მაღალმთიან აჭარაში ტურიზმის განვითარებას შეუწყოს ხელი.

გიორგის გული სწყდება, რომ თავად უმაღლესი განათლება ვერ მიიღო. უნივერსიტეტში გამოცდები ჩააბარა, მაგრამ მამის ავადმყოფობის გამო სწავლას თავი დაანება, ოჯახს სჭირდებოდა. დღეს გიორგი „შუახევიჰესის" მშენებლობაზე მუშაობს. ბათუმში სახლი აქვს, თუმცა თავისი სოფლიდან წასვლას არც პროექტის დასრულების შემდგომ აპირებს. საქმეს გამონახავს, პროექტში დაგროვილი ცოდნა და გამოცდილება ამაში მნიშვნელოვნად დაეხმარება. ამბობს, რომ ხედი მისი ფანჯრიდან ერთ ცხოვრებად ღირს და რაც მთავარია, მამა-პაპის კერა არ უნდა გაცივდეს.

„ნეტგაზეთი", 23.05.2016

beekeeping methods, and, as part of this program, he was given bee colonies, hives, and all necessary equipment free of charge.

This spring's abundant honey harvest has enabled him to help his son in Batumi, both financially and with food products. He believes that the village should spare no effort to empower the country. "A country can only be built brick by brick, when everyone does his or her job well and it all eventually comes together," he says.

**Giorgi Putkaradze** lives in the Shuakhevi district. There are six people in his family. He got married relatively early, so now, at the age of 38, he already has three children – Mariam is 19, Ketevan is 16, and the youngest, Otar, is 6. He believes that marrying his wife 21 years ago was the right choice. He does not regret getting married young, and he does not intend to interfere with his children's affairs, since he feels that they need to make their own important decisions in life. If they decide to wed early, he will not object. However, he also believes that marriage should not stand in their way of education: "I taught them everything I knew, and I paved the way for them. Mariam is already an adult, and it is up to her to decide what is best for her, and it is time for me to step aside."

Mariam is taking a tourism course at Shota Rustaveli University. Her tuition fee is covered by Adjaristsqali Georgia. Mariam aspires to promote tourism in the mountainous areas of Adjara.

Giorgi regrets not pursuing his own higher education. He passed the entrance exams but was later forced to drop out for health issues and to help his family. Today Giorgi works on construction at the Shuakhevi Hydro Power Project. Even though he owns an apartment in Batumi, he does not plan to leave his village even after project is completed. He is sure he will get a job with the help of the expertise he has acquired on the project. He says that the view from his window alone makes life worth living. Most importantly, he feels obligated to keep his ancestral home fires burning.

Netgazeti, 23.05.2016

# გარემოს დაცვა
# ENVIRONMENT

გარემოზე ზემოქმედების თავიდან აცილება ან მისი შემცირება „აჭარისწყალი ჯორჯიას" საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია. კომპანია ყველა ღონეს ხმარობს, რათა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით და ადგილობრივი პროფესიონალების გამოცდილებაზე დაყრდნობით მაქსიმალურად დაიცვას შემარბილებელი ღონისძიებების იერარქია და თავიდან აიცილოს სამშენებლო საქმიანობით გამოწვეული თუნდაც მინიმალური ზემოქმედება გარემოზე.

One of Adjaristsqali Georgia's top priorities is to avoid or reduce its environmental impact. With the help of experienced local and international professionals, the company is sparingno effort to follow the mitigation hierarchy and to stave off even the slightest environmental impacts that may arise from the company's construction activities.



## შემარბილებელი ღონისძიებების იერარქია
## MITIGATION HIERARCHY

სასურველი
Most desirable

| | |
|---|---|
| თავიდან აცილება<br>Avoid | უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება, მაგალითად, სენსიტიურ ტერიტორიებზე ზემოქმედების პრევენცია ან სანაშენე კალენდრით სარგებლობა<br>Avoid adverse impact, e.g. avoid impacts on sensitive areas or during sensitive periods using const- raints map or breeding calendars |
| შემცირება<br>Reduce | ყველა შესაძლო ზემოქმედების ხანგრძლივობის, ინტენსიურობის ანდა მასშტაბის შემცირება ან მინიმიზაცია<br>Reduce or minimise the duration, intensity and/or extent of any impacts that are not feasibly avoidable |
| აღდგენა<br>Remedy | აღდგენითი სამუშაოები ყველა ისეთი ზემოქმედებისთვის, რომელთა თავიდან აცილება ან შემცირება შეუძლებელია<br>Remedy (mitigate/restore) any impacts or site that cannot be avoided or reduced |
| კომპენსაცია<br>Offset | ყველა ისეთი ნარჩენი ზემოქმედების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიება, რომლის თავიდან აცილება, შემცირება ან აღდგენა შეუძლებელია<br>Offset or compensate for any residual impacts that cannot be avoided, reduced or remedied on site |

არასასურველი
Least desirable

„შუახევჰესის" მშენებლობის დაწყებამდე ქართველმა და უცხოელმა სპეციალისტებმა, საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით, დეტალური კვლევები ჩაატარეს. კვლევებზე დაყრდნობით მომზადდა გარემოზე ზემოქმედების ანგარიში(გზშ), რომელშიც შეფასებულია დაგეგმილი საქმიანობის შესაძლო პირდაპირი და არაპირდაპირი გავლენა ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე, მცენარეულ საფარსა და ცხოველთა სამყაროზე, ნიადაგზე, ჰაერზე, წყალსა და კლიმატზე. შესაბამისი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებები კომპანიის გარემოსდაცვით გეგმებში დაწვრილებით არის გაწერილი და მათი შესრულება მკაცრად კონტროლდება.

კომპანიის ვალდებულება და პასუხისმგებლობა მხოლოდ მშენებლობის დაწყებამდე არსებული კვლევებით არ შემოიფარგლება, მუდმივად მიმდინარეობს მონიტორინგი გეოლოგიის, ჰიდროლოგიის და ბიომრავალფეროვნების მიმართულებით. მონიტორინგის შედეგებს კომპანიის სპეციალისტები აფასებენ და საჭიროების შემთხვევაში დამატებით შემარბილებელ ღონისძიებებს გეგმავენ და ახორციელებენ.

Before beginning Shuakhevi HPP construction work, Georgian and international specialists carried out detailed studies in line with Georgian legislation, international standards and best practices. Based on the results of these studies, the Environmental and Social Impact Assessment Report was developed to assess possible direct and indirect impacts that planned activities may have on the health and safety of human beings, local flora and fauna, soil, air, water, and climate. Relevant mitigation and compensation measures are described in detail in the company's environmental plans, and their implementation is strictly supervised.

The company's obligations and responsibilities are not limited to preconstruction studies. Continuous geological, hydrological and biodiversity monitoring activities are in full swing. Monitoring results are assessed by the company's environmental specialists, who plan and implement additional mitigation measuresas necessary.



გარემოს მონიტორინგი მშენებლობის დასრულების შემდეგომაც, ოპერირების ფაზაზე დაახლოებით 10 წლის განმავლობაში გაგრძელდება. გარემოზე თუნდაც მცირედი ზემოქმედების გამოვლენის შემთხვევაში შესაბამისი შემარბილებელი და საკომპენსაციო ღონისძიებები დაიგეგმება.

კომპანიის მიერ დღემდე განხორციელებული შემარბილებელი ღონისძიებები:

### ჰაბიტატის აღდგენა

გარემოზე ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელების ფარგლებში, ხეების დარგვა 2014 წლის სექტემბრიდან დაიწყო. კომპანიის თანამშრომლებმა სსიპ „აჭარის სატყეო სააგენტოს" წარმომადგენლებთან ერთად, შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგაზეულში 1148 კვ.მ. მიწის ფართობზე 300 ძირი კოლხური მუხის ნერგი დარგეს. დღემდე კომპანიის მიერ 1400 ძირი „წითელი წიგნის" ხეა დარგული.

„აჭარისწყალი ჯორჯია" ვალდებულებას იღებს ოფსეტური ღონისძიებები განახორციელოს, რაც პროექტის საჭიროებისათვის ამოღებული ეკოსისტემების ეკვივალენტური ტყის ჰაბიტატების ან სხვა ტიპის ეკოსისტემების/მცენარეების თანასაზოგადოებების აღდგენას გულისხმობს. კერძოდ, იმ ხეების მოჭრის შემთხვევაში, რომლებიც არ არიან შეტანილნი საქართველოს „წითელ წიგნში", ორი ახალი ჯიშის ან მსგავსი ადგილობრივი ხე, საქართველოს „წითელ წიგნში" შეტანილი მერქნიანი სახეობების მოჭრის შემთხვევაში კი – ასეთივე ჯიშის ათი ხე უნდა დაირგოს.

Even after construction is complete, environmental monitoring will continue during the operations phase and will lastabout ten years. Whenever the slightest environmental impact is detected, relevant mitigation and compensation measures come into force.

In addition to day to day mitigation measures on site, the company is also implementing the following mitigation strategies:

### HABITAT RESTORATION

Tree plantingas an activity seeking to mitigate environmental impactsstarted in September, 2014. Workingwith representatives of the Forestry Agency of Adjara, the company's employees planted 300 Colchis oak saplings in a 1,148-m2 territory in the village of Nigazeuli, in the Shuakhevimunicipality. So far, the company has planted 1,400 saplings of trees on the Red List of Threatened Species.

Adjaristsqali Georgia is implementing offset measures involving the rehabilitation of degraded habitats or the restoration of other types of plant ecosystems which have been cleared to serve the project's needs. In particular, in place of one tree which is not on Georgia's Red List of Threatened Species, two trees of the same or similar species are planted. When the felling of trees from the Red List occurs, ten trees of the same species are planted.



კომპანია აქტიურად თანამშრომლობს ბათუმის ბოტანიკურ ბაღთან, სადაც ჩვენი დაკვეთით დასარგავი ტერიტორიის მომიჯნავე ტერიტორიებზე შეგროვილი მცენარეების თესლისაგან ხეების ნერგები გამოჰყავთ. ეს ღონისძიება მცენარეების გენეტიკურ მდგრადობას და პოპულაციურ შესაბამისობას უზრუნველყოფს.

The company actively cooperates with the Batumi Botanical Garden where, at our request, saplings are grown from seeds collected in the territories adjacent to the planting area. This measure ensures the genetic resilience of plants and the proportional balance of the tree population.



## ღამურის ბუდეების განთავსება

ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, სოფელ სხალთის, დიდაჭარის და ახალდაბის ტყეებში ხელფრთიანების – ღამურების ბუდეები განთავსდა. ბუდეები არასამთავრობო ორგანიზაცია „ფსოვის" ექსპერტებმა დაამონტაჟეს, რომლებიც „შუახევიჰესის" პროექტის ფარგლებში ფაუნის ბიომრავალფეროვნებას იკვლევენ. ბუდეების განთავსებაში ადგილობრივი სკოლების XI-XII კლასის მოსწავლეებმა და პედაგოგებმა მიიღეს მონაწილეობა. ჩატარებული ღონისძიება ერთგვარი საპილოტე პროექტია შემდგომი ქმედებებისთვის. ღამურებისა და ჩიტების ბუდეების განთავსება „შუახევიჰესის" სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომაც იგეგმება.

## INSTALLING BAT HOUSES

In line with the Biodiversity Action Plan, bat houses were installed in the forests surrounding the villages of Skhalta, Didachara, and Akhaldaba. This task was accomplished by Psovi, a nongovernmental organization studying the biodiversity of local fauna in area affected by the ShuakheviHPP. Local high school students and their teachers helped installthe bat houses. This initiative is a pilot project for further action, and installation of bat housesand bird nests will continue even beyond the construction phase.





## ინვაზიურ სახეობებთან ბრძოლა

მონიტორინგის შედეგად, სხალთის ტერიტორიაზე კომპანიის გარემოს საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებმა ინვაზიური სახეობები აღმოაჩინეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს სახეობები აჭარაში უკვე 50 წელზე მეტია გავრცელებულია, ისინი გარემოს მაინც დიდ ზიანს აყენებენ. გარემოს დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებული ღონისძიებების ფარგლებში, კომპანიის თანამშრომლებმა ბუნებისთვის ზიანის მომტანი მცენარეები სპეციალისტების მითითებით გაანადგურეს.

## FIGHT AGAINST INVASIVE SPECIES

In order to prevent the spread of alien invasive species in the project area, the company hired specialists from the Mta-Bari NGO to regularly conducting invasive species monitoring. This monitoring resulted in the discovery of invasive ragweed (Ambrosia artemisiifolia) in the territory around Skhalta. Although ragweed has been in Adjara for 50 years, it still has a serious adverse impact on the environment. As part of the celebrations for World Environment Day, the company's employees, under the supervision of ecological specialists, uprooted some of the plants that were causing damage to the local environment.



## ცნობიერების ამაღლება ბიომრავალფეროვნების საკითხებზე

სკოლის მოსწავლეთა ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, სოფელ ახალდაბისა და ჩანჩხალოს საჯარო სკოლების უფროსკლასელთათვის გარემოს დაცვისა და ბიომრავალფეროვნების საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრები და პრეზენტაციები გაიმართა. პრეზენტაციას გარემოს დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები უძღვებოდნენ. განსაკუთრებული აქცენტი მაღალმთიანი აჭარის ბიომრავალფეროვნებაზე და იქ გავრცელებულ სახეობებზე გაკეთდა.

## RAISING BIODIVERSITY AWARENESS

To raise young people's awareness about environmental protection and biodiversity, the company organized meetings and presentations for public high school students in the villages of Akhaldaba and Chanchkhalo. The presentations were delivered by representatives of environmental NGOs, who placed special emphasis on the biodiversity of the mountainous regions of Adjara and some of the plant species found there.



უსაფრთხოება – მთავარი პრიორიტეტი
SAFETY AS A TOP PRIORITY

ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის საკითხები ყოველთვის იყო და არის „აჭარისწყალი ჯორჯიას" მსოფლმხედველობისა და პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი. 2012 წელს შუახევის ჰიდროენერგეტიკული პროექტის მშენებლობის დაწყების დღიდან კომპანია ძალ-ღონეს არ იშურებს იმისთვის, რომ პროექტის მშენებლობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოსა და ადგილობრივ მოსახლეობაზე მაქსიმალურად შეამციროს. პროექტის გეგმა Mott MacDonald (MML) UK-მ (საერთაშორისო დონეზე აღიარებული ბრიტანული საკონსულტაციო კომპანია) და მშენებლობის ინდუსტრიის წამყვანმა ექსპერტებმა შეიმუშავეს. სოციალური და სამართლებრივი ვალდებულებებიდან გამომდინარე, სპეციალისტებმა შესაბამისი რაიონების მოსახლეობას და საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს კონსულტაციები გაუწიეს.

პროექტს ძირითადად წარმატებული კერძო კომპანიები – Clean Energy Invest და TATA Power აფინანსებენ, ხოლო დამატებით სესხებს ADB (აზიის განვითარების ბანკი), EBRD (ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი) და IFC (საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია) უზრუნველყოფენ. დაფინანსების მოსაპოვებლად „აჭარისწყალი ჯორჯიამ" გამოცდილი და კომპეტენტური სპეციალისტები მოიწვია, რომელთა დახმარებითაც კრედიტორების მოთხოვნები წარმატებით დააკმაყოფილა.

ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის მაღალი სტანდარტების მისაღწევად, „აჭარისწყალი ჯორჯიამ" სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე (2013 წლის დასაწყისში) პროექტის განხორციელების არეალში მცხოვრები 600-მდე ადამიანი გადაამზადა. შუახევის ახლადგახსნილ სასწავლო ცენტრში ორგანიზებულ ტრენინგებს ქობულეთის პროფესიული კოლეჯის სპეციალისტები უძღვებოდნენ. პროფესიულ-ტექნიკური სწავლების შედეგად პესის მომავალმა თანამშრომლებმა მიიღეს ცოდნა და უახლესი ინფორმაცია ისეთი სამშენებლო დარგების შესახებ, როგორიცაა შედუღება, ელექტროგაყვანილობა და მძიმე ტექნიკის მართვა. პროექტში დასაქმებულებს შემდგომში ტრენინგი უკვე ადგილზე, კონტრაქტორი კომპანიების – Alstom-ის და AGE-ის პროფესიონალების მეთვალყურეობის ქვეშ ჩაუტარდათ.

შესაბამისი ლიცენზია პროექტის განსახორციელებლად საქართველოს მთავრობამ გასცა. გარდა ამისა, „აჭარისწყალი ჯორჯიამ" შეიმუშავა დეტალური გეგმა, რომელიც მოიცავს გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს და სოციალურ აქტივობებს; ასევე, ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ისეთ ასპექტებს, როგორიცაა რისკების შეფასება, უსაფრთხო სამუშაო გარემოს პროცედურები და ამოცანების შესრულებამდე უსაფრთხოების საკითხებზე ჩასატარებელი ბრიფინგები. 2016 წლის აგვისტოს მდგომარეობით, შუახევის ჰიდროენერგეტიკული პროექტის ფარგლებში მიღწეულია უსაფრთხოების ყველაზე მაღალი სტანდარტები მთელი რეგიონის მასშტაბით. მსგავსი შედეგი ზოგიერთი ევროპული ქვეყნისთვისაც მიუღწეველია.

AGL has always held the key topics of health, safety, and environment (HSE) among its core beliefs and strategies. From the start of the Shuakhevi Hydro Power Project in 2012, AGL has strived to construct the project with minimal disruption to local communities and the environment. Prominent international construction experts and the internationally recognized British engineering consultant Mott MacDonald (MML) UK designed the project and consulted with affected communities and Georgian authorities as part of its social and legal responsibilities.

The project is financed by the successful private sector sponsors Clean Energy Invest and TATA Power, with the remaining financial backing provided by the Asian Development Bank (ADB), European Bank for Reconstruction and Development (EBRD), and the International Finance Corporation (IFC). To obtain financing from these organisations, AGL had to acquire an experienced and competent team to understand the lenders' requirements and deliver upon their various obligations.

To achieve our current high HSE standards, in early 2013 AGL worked with Kobuleti College to provide vocational training for almost 600 qualified people from affected communities in a purpose built training site near the town of Shuakhevi prior to commencement of construction work. This gave local workers advanced construction skills such as welding, electrical work, and heavy machinery operation. This vocational training was then continued under supervision in the workplace by experienced supervisors from the contractors Alstom and AGE.

The project is operated under license from the Georgian government in Tbilisi. In addition to this, AGL has a set of detailed and strict plans covering environmental obligations, social responsibility activities, and matters of HSE such as safety risk assessments, work method statements, and pre-task safety briefings. As of August 2016, the Shuakhevi Hydro Power project is achieving region-leading safety performance that would be envied even by companies in some European countries. These high standards are easily explained by competent supervision, safe workplaces, and ongoing site specific



ასეთი წარმატება კომპეტენტურმა ზედამხედველობამ, უსაფრთხო სამუშაო გარემომ და უწყვეტმა, სამშენებლო ობიექტის საჭიროებებზე მორგებულმა ტრენინგებმა განაპირობა. „აჭარისწყალი ჯორჯია" და კომპანია Mott MacDonald (MML) UK, პროექტის კონტრაქტორებთან (Alstom და AGE) პარტნიორობით, ყველა სამუშაო ადგილისა და სამშენებლო საქმიანობის მკაცრ და მეთოდურ ინსპექციას და შეფასებას ახორციელებენ. ინსპექციის მიზანია სწორად და დროულად შეფასდეს სამუშაო პროცესთან და სამშენებლო ობიექტებთან დაკავშირებული რისკები, ხოლო მენეჯმენტმა პროექტში დასაქმებული ადამიანების და ვიზიტორების ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვა უზრუნველყოს და შესაბამისი ცვლილებები განახორციელოს.

სამშენებლო სამუშაოების დასრულებამდე დარჩენილ პერიოდში „აჭარისწყალი ჯორჯიას" მენეჯმენტის მტკიცე გეგმა კვლავაც გამოამჟღავნებს ლიდერობის ძლიერ თვისებებს და ძალ-ღონეს არ დაიშურებს მდგრადი გაუმჯობესების შესანარჩუნებლად ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია.

training. AGL and MML, in partnership with the project contractors Alstom and AGE, have a rigorous and methodical inspection and review process of all workplaces and construction activities to assess risks to workers and areas where management can make improvements to further safeguard the health and welfare of workers and visitors to the project.

AGL's dedicated management team will ensure strong leadership and direction for the remainder of the construction work and strive for sustained improvement wherever possible.



# „აჭარისწყალი ჯორჯია“ და მედია













# ADJARISTSQALI GEORGIA AND MEDIA












# ქალები ენერგეტიკაში
## WOMEN IN THE ENERGY SECTOR



ნანა გურგენიძე
Nana Gurgenidze

### ირინა ალიაშვილი

„აჭარისწყალი ჯორჯიას" ქართველი თანამშრომლების 60 პროცენტს ბათუმში, ხოლო 100 პროცენტს თბილისში ქალები შეადგენენ. ისინი წამყვან პოზიციებს იკავებენ კომპანიის მმართველ გუნდში და, ასევე, ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს ხელმძღვანელობენ, როგორებიცაა: პროექტების მართვა, გარემოს საკითხები და ტექნიკური პროცესები. იმის გათვალისწინებით, რომ დღეს საჯარო დაწესებულებებში ხელმძღვანელი პოზიციების მხოლოდ 22 პროცენტი უკავიათ ქალებს, კერძო კომპანიებში კი ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო ნაკლებია (20 პროცენტი, IDFI, საქსტატი), „აჭარისწყალი ჯორჯია" გამორჩეულ სამუშაო გარემოს ქმნის და ქვეყნის ეკონომიკაში ქალების ჩართულობას უწყობს ხელს.

### Irina Aliashvili

Women make up 60 percent of the Georgian employees of Adjaristsqali Georgia in Batumi and 100 percent in Tbilisi. They hold top positions in the company's management and lead such important areas as project management, environment, and technical processes. Given that women hold only 22 percent of leading positions in the public sector, and even fewer in the private sector (20 percent, according to IDFI and the National Statistics Office of Georgia), Adjaristsqali Georgia is creating an exceptional work environment and promoting women's engagement in the country's economy.

### წარმატებული მენეჯერები

ნანა გურგენიძე „აჭარისწყალი ჯორჯიას" მთავრობასთან ურთიერთობის დირექტორია, ის კომპანიაში ერთ-ერთ ყველაზე საპასუხისმგებლო საქმეს უძღვება. დროის უმეტეს ნაწილს სამსახურში ატარებს, სამსახურებრივი მივლინებით ხშირად უწევს ქვეყნის დატოვება, თბილისსა და ბათუმს შორის მიმოსვლა. ნანამ კარგად იცის, რომ სამუშაოს უამრავი რამ სჭირდება – პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობა, დროის და რესურსების მართვისა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების უნარი. მისი თქმით, წარმატების საფუძველი ხარისხიანი განათლების მისაღებად მიზანდასახული და თავდაუზოგავი შრომა და იმ საქმეში ბოლომდე დახარჯვაა, რასაც აკეთებ.

ნანა მხარს უჭერს ქალების აქტიურ ჩართულობას განსაკუთრებით იმ სფეროებში, სადაც მამაკაცების ნაწილი ქალების როლს სკეპტიკურად უყურებს: „რამდენადაც ვაკვირდები, ქალები სულ უფრო მეტად ინტერესდებიან ტექნიკური პროფესიებით, რაც ძალიან მახარებს. ვფიქრობ, საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში გამეფებული სტიგმა, რომ „ტექნიკური პროფესიები ქალის საქმე არაა", თანდათან წარსულს ჩაბარდება. თუმცა, ზოგადად, ტექნიკური განათლების დონის ამაღლება დიდი პრობლემაა საქართველოში. ამ დარგების პოპულარიზაცია კი ქვეყნის მომავალი წინსვლის საწინდარია."

### SUCCESSFUL MANAGERS

Nana Gurgenidze, the Director of Government Relations at Adjaristqali Georgia, has some of the most significant responsibilities in the company. She spends long hours at work and takes frequent business trips both abroad and between Batumi and Tbilisi. She is well aware that her job requires a lot from her: a strong sense of responsibility, quality time and resource management, and highly developed decision-making skills. In her own words, "the key to success involves a strong commitment to quality education and hard work, as well as dedication to one's company".

Ms. Gurgendize believes that women need to be actively engaged in fields where some are skeptical about women's roles: "From my observations, women are taking growing interest in technical vocations, which makes me really happy. 'Women are not cut out for technical professions' is a long-standing belief in Georgia which, I believe, will soon sink into oblivion. Improving vocational education in Georgia, however, is a serious problem in general. Promoting these fields is necessary for the country's progress."



ნინო დიასამიძე
Nino Diasamidze

## საუკეთესო დამარწმუნებლები

ნინო დიასამიძე პირველია, ვინც „აჭარისწყალი ჯორჯიას" გუნდის წევრი გახდა. როდესაც გასაუბრებაზე მივიდა, „შუახევჰესის" პროექტთან დაკავშირებით ჯერ კიდევ წინასწარი კვლევები მიმდინარეობდა. „თავიდანვე მივხვდი, რომ ამ პროექტის განხორციელება მარტივი არ იქნებოდა, წინ მრავალი რთული გამოწვევა გველოდა. მთავარი ის იყო, რომ პროექტის არეალში მცხოვრებ თითოეულ ადამიანს რეგიონის გრძელვადიანი განვითარების პერსპექტივა და საკუთარი თავის რეალიზების შესაძლებლობა დაენახა", – იხსენებს ნინო.

ნინო დიასამიძე დღეს კომპანიაში სოციალური პროექტების მიმართულებით მუშაობს. მიაჩნია, რომ სწორედ ისეთი პროექტების განხორციელებაა მნიშვნელოვანი, რომლებიც „შუახევჰესის" მშენებლობის არეალში მცხოვრები ქალების შესაძლებლობებს გააძლიერებს და ქვეყნის ეკონომიკაში მათ ჩართულობას გაზრდის.

პროექტის საწყის ეტაპზე მთავარი ბარიერი მოსახლეობის დარწმუნება იყო. ნინო ყოველდღე ხვდებოდა ადამიანებს ხულოსა და შუახევში, ისმენდა მათ მოსაზრებებს, ამავდროულად აცნობდა „შუახევჰესის" მშენებლობის პროექტს და მათთან ერთად განიხილავდა რეგიონის მდგრადი განვითარების საჭირო საკითხებს. დღეს მაღალმთიან აჭარაში, „შუახევჰესის" მშენებლობის ფარგლებში, არაერთი სოციალური პროექტი მიმდინარეობს. „აჭარისწყალი ჯორჯიას" პროექტებში აქტიურად ჩაერთვნენ ადგილობრივი ქალები, რაც ორმაგად ახარებს: „ვცდილობთ, შევიმუშაოთ სოციალური პროექტები, რაც ქალების შესაძლებლობების უკეთ წარმოჩენას შეუწყობს ხელს. მაღალმთიან აჭარაში ჯერ კიდევ მყარია ტრადიციული შეხედულებები ქალის როლსა და ფუნქციაზე, რომელიც მხოლოდ ოჯახზე ზრუნვითა და შვილების აღზრდით შემოიფარგლება. ჩვენ მიერ ორგანიზებული სოციალური პროექტებით, ვცდილობთ ქალის როლის გაძლიერებას და მათი შესაძლებლობების გაზრდას შევუწყოთ ხელი."

## BEST AT PERSUASION

Nino Diasamidze was the first to join the Adjaristsqali Georgia team. When she applied for a job, preliminary studies for the Shuakhevi HPP project were still underway. "I realized right away that implementing this project would not be easy. We were in for many challenges. What mattered most was showing each person in the project area that the project offered prospects of the region's long-term development and opportunities for fulfilling their potential," she recalls.

Today Nino Diasamidze works on the company's social projects. She believes it is important to implement projects designed to enhance the capacities of women in the Shuakhevi HPP area and boost their engagement in the country's economy.

At the initial stage of the project, persuading local communities posed the greatest obstacle. Ms. Diasamidze held daily meetings in Khulo and Shuakhevi, listening to local residents, introducing them to the Shuakhevi HPP construction project, and holding group discussions on issues relating to the region's sustainable development. Today numerous social initiatives in mountainous Adjara operate as part of the Shuakhevi HPP. Local women are actively involved in Adjaristsqali Georgia's projects, which makes Ms. Diasamidze happy for two reasons: "We seek to develop social projects that help women use their abilities better. The traditional view on women's roles and duties is that they are limited to household chores and raising children, and these views are still strong in mountainous Adjara. Our social projects aim to empower women and enhance their capacities."

## ენერგიული ენერგეტიკოსები

„აჭარისწყალი ჯორჯიაში" სტუდენტები სტაჟირებას ყოველწლიურად გადიან. წლევანდელი კონკურსის შედეგად გამოვლენილ სამ საუკეთესო სტუდენტს შორის ერთ-ერთი ინესა ბერუჯანოვაა. ის უკვე ერთი თვეა, ხულოში ცხოვრობს და ცოდნასა და გამოცდილებას ყოველდღიურად მსოფლიოში აღიარებული პროფესიონალებისგან იღებს. კვირის განმავლობაში როტაციის პრინციპით კაშხლის, ძალური კვანძის და გვირაბის მშენებლობის სპეციფიკას სწავლობს, კვირის ბოლოს კი ინგლისურენოვან მენეჯმენტისთვის დაგროვილი ცოდნის შესახებ ანგარიშს აბარებს. გეგმები დიდი აქვს, უცხო ენის კარგად ცოდნის გამო უცხოენოვან პროფესიულ ლიტერატურაზე ხელი მარტივად მიუწვდება.

„ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მივიღე, როცა ენერგეტიკის ფაკულტეტზე ჩავაბარე. საქართველოში უმსხვილესი ენერგოპროექტები ახლა შენდება, ქვეყანა ამ მიმართულებით სწრაფად ვითარდება. მე კი მინდა, რომ ამ ყველაფერში აქტიურად ვიყო ჩართული", – აღნიშნავს ინესა.

## ENERGETIC ENERGY SPECIALISTS

Every year, students do internships at Adjaristsqali Georgia. Inessa Berujanov is one of the three student winners of this year's competition. She moved to Khulo a month ago, and she is gaining valuable experience and learning from internationally recognized professionals. During the week, she studies the specifics of dam, power unit, and tunnel construction, and on weekends she reports what she has learned so far to her English-speaking managers. Her language skills enable her to access discipline-specific literature in foreign languages, and she has great plans for the future.

"I think I made the right choice when I enrolled in the Department of Energy. Large energy projects are being developed in Georgia, and the country is making huge strides in this direction. I want to make sure I'm actively involved in all this," Ms. Berujanov says.



ინესა ბერუჯანოვი
Inessa Berujanov



ინგული დავითაძე
Inguli Davitadze

## შეუდარებელი კომუნიკატორები

„აჭარისწყალი ჯორჯია" „შუახევჰესის" პროექტის განხორციელების არეალში მცხოვრებ ადამიანებთან აქტიურად ურთიერთობს. საინფორმაციო ცენტრებში, რომლებიც კომპანიამ ეფექტური კომუნიკაციის მიზნით შექმნა, უმეტესწილად ქალები დასაქმდნენ. ინგული დავითაძეც ერთ-ერთი მათგანია. ის შუახევის საინფორმაციო ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერია. სამი წელია, რაც „შუახევჰესის" პროექტშია ჩართული და ადგილობრივებსაც კარგად იცნობს და მათ პრობლემებსაც.

ინგულის თქმით, მაღალმთიან აჭარაში ქალებს ნაკლებად აქვთ საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის საშუალება, ისინი ძირითადად საოჯახო საქმეებით არიან დაკავებულნი. ამას უამრავი რამ განაპირობებს, მათ შორის ოჯახი, ტრადიცია და სტერეოტიპები. მისი აზრით, ქალებს დიდი ძალისხმევა სჭირდებათ, რომ სოციალურად მეტად აქტიურები გახდნენ. „ვფიქრობ, პრობლემა მეტწილად ქალებშია. პირველ რიგში სწორედ მათ უნდა ირწმუნონ საკუთარი შესაძლებლობების. პროექტში ჩართულმა ქალებმა წარმატებით დაძლიეს ყველა დაბრკოლება. მერწმუნეთ, მათი მიღწევები ორმაგად დასაფასებელია იმ გარემოდან გამომდინარე, სადაც ისინი ცხოვრობენ." კომპანიაში აღნიშნავენ, რომ სწორედ „აჭარისწყალი ჯორჯიას" საინფორმაციო ცენტრების თანამშრომლები ქმნიან წარმატებული ქალის ახალ სახეს მაღალმთიან აჭარაში.

## UNRIVALED COMMUNICATORS

Adjaristsqali Georgia maintains strong relations with the residents of the Shuakhevi HPP project area. The company's information centers, which were created to ensure effective communication with local communities, are staffed mostly by women such as Inguli Davitadze. Ms. Davitadze, who joined the Shuakhevi HPP project three years ago, is the PR Manager at the Shuakhevi Information Center. She is familiar with the local population and is aware of their problems.

According to Ms. Davitadze, the women in mountainous Adjara are mostly busy running their households and lack opportunities to reach their potential for many reasons, such as family responsibilities, traditions, and stereotypes. She believes that it takes great effort for women to become socially active. "I think the problem is largely about the women themselves, and what they need most is building their self-confidence. The women involved in the project have succeeded in overcoming many obstacles. Trust me, their success, given the area where they live, is highly commendable." The company points out that thanks to the Adjaristsqali Georgia information centers, a new image of a successful woman is shaping in mountainous Adjara.



# ინვესტორის ანგარიში საზოგადოებას
# INVESTOR PUBLIC REPORT

2016 წლის 8 აპრილს „ქორითიარე მარიოყმი" კომპანია „აჭარისწყალი ჯორჯია" საქართველოს მთავრობის, არასამთავრობო სექტორის, ბიზნესკომპანიების და მედიის წინაშე საქმიანობის ანგარიშით წარდგა. ეს იყო პირველი პრეცედენტი ენერგოსექტორში, როდესაც ქვეყნის უმსხვილესმა ინვესტორმა მშენებლობის ფაზაზე საზოგადოებას ანგარიში ჩააბარა. კომპანიის ხელმძღვანელობამ მშენებლობის პროცესში მიღწეული პროგრესი, უსაფრთხოებასთან და გარემოსთან დაკავშირებული საკითხები და მაღალმთიან აჭარაში გრძელვადიანი განვითარების მიზნით განხორციელებული სოციალური პროექტები წარადგინა.

On April 8, 2016, Adjaristsqali Georgia LLC presented its performance report to the Government of Georgia, NGOs, business actors, and media outlets, which marked the first time ever in the history of Georgia's energy sector when the country's largest investor reported to the public at the construction phase. In its report, the company's leadership described progress achieved in the construction process, also discussing safety and environmental issues, and social projects implemented with a view to ensuring long-term development in the mountainous areas of Adjara.






კირე ოლაფ იოჰანსენი
„აჭარისწყალი ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

„შუახევის პროექტი, რომელიც საჯარო და კერძო სექტორების პარტნიორობის იდეალური მაგალითია, მიზნად ისახავს საქართველოს ენერგეტიკის სექტორში ძლიერი და წარმატებული კერძო ბიზნესის განვითარების ხელშეწყობას."

KYRRE OLAF OHANSEN
Chairman of AGL

„Shuakhevi Project an excellent example of public-private partnership for the success of the country as well as for developing strong and successful private business in the energy sector of Georgia."



რონი სოლბერგი
„აჭარისწყალი ჯორჯიას" აღმასრულებელი დირექტორი

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ „შუახევჰესის" წარმატება მაღალმთიანი აჭარის გრძელვადიან განვითარებას ნიშნავს. სოციალური პასუხისმგებლობა ჩვენთვის პრიორიტეტია. მთავარი მიზანია, „შუახევჰესის" მშენებლობის პარალელურად განვითარდეს ის რეგიონი, სადაც ჩვენ ვსაქმიანობთ."

RONNY SOLBERG
CEO of AGL

"We believe that the Shuakhevi Hydro Power Plant will promote the long-term development of upper Adjara. Social responsibility is one of our main priorities. Our goal as a company isn't just to build a hydro power plant, it is also to strengthen and develop the region where we work."





კახა კალაძე
საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი (2012-2016)

„დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას აღვნიშნავთ. ეს არის უზარმაზარი ნაბიჯი ჩვენი ენერგეტიკის განვითარების საქმეში. ჩვენი მიზანია, ენერგორესურსების რაციონალური ათვისება, რათა ხელი შევუწყოთ ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობას."

KAKHA KALADZE
The Minister of Energy of Georgia (2012-2016)

"Today we celebrate the implementation one of the largest and most important project in Georgia since gaining our independence. This is an enormous step in the development of our energy sector. Our goal is the rational utilization of energy resources in order to ensure our country's energy independence."



შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილთან
Meeting with Prime Minister of Georgia Giorgi Kvirikashvili

# ძალური კვანძი - მშენებლობის პროგრესი
# POWER STATION - PROGRESS OF CONSTRUCTION

2014-2016












"შუახევიჰესის" გვირაბი – სიგრძე 37.4 კმ
Shuakhevihesi Tunnel – Length 37.4 km